ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს მიერ, ოქმი #19, 29.08.2018
დოკუმენტის ამოქმედების ვადა: 17.09.2018

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

ა. რურუა

ND-29.2018.G

მაგისტრატურის
დებულება

თბილისი
2018

შინაარსი

პრეამბულა	3
1. ზოგადი დებულებები	4
2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 1. პროგრამის შემუშავება, დამტკიცება, მოდიფიცირება, ცვლილებების შეტანა, გაუქმება; 2. პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები; 3. პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; 4. სწავლების ენა; 5. პროგრამის მოცულობა. პროგრამით სწავლების ხანგრძლივობა; 6. პროგრამის სტრუქტურა. პროგრამის კომპონენტები; 7. პროგრამის კვლევითი კომპონენტი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი; 8. პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი). პროგრამის კომპონენტის სილაბუსი; 9. პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობისა და შესაძლებლობის უზრუნველყოფა; 10. მაგისტრანტის დატვირთვა. კრედიტი. სასწავლო განრიგი; 11. მაგისტრანტის შეფასება; 12. მაგისტრანტებთან ინდივიდუალური მუშაობა; 13. ინდივიდუალური განრიგი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; 14. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა; 15. პროგრამით სწავლის დასრულება. მისანიჭებელი კვალიფიკაცია	4
3. მაგისტრანტი. სტუდენტის სტატუსი, სტატუსის შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა. მობილობა. დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელება 1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება. მაგისტრანტი; 2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა; 3. სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია. აკადემიური რეგისტრაცია (1. რეგისტრაციის ვადები; 2. სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია; 3. აკადემიური რეგისტრაცია; 4. დამატებითი კრედიტები; 5. არჩევანის შეცვლა; 6. სასწავლო ჯგუფი); 4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება; 5. სტუდენტის სტატუსის აღდგენა; 6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა; 7. მობილობა; 8. განათლების აღიარების წესი; 9. დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელების პირობები	14
4. დანართები	24
5. დოკუმენტების კონფიდენციალურობა და საჯაროობა	24
6. დასკვნითი დებულებები	25

პრეამბულა

1. გავრცელების სფერო

1. წინამდებარე დოკუმენტი შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, განხორციელებაში და განხორციელების ხელშეწყობაში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის და პირის შიდა ნორმატიული დოკუმენტია;
2. დოკუმენტი განსაზღვრავს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების წესს და პირობებს;
3. დოკუმენტი ვრცელდება ბტუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან, განხორციელებასთან და კვალი-ფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტზე და პროცედურაზე;
4. დოკუმენტი:
   1. დამტკიცებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ;
   2. ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დამტკიცების აქტით.
5. დოკუმენტის პერიოდული შემოწმება ხორციელდება არანაკლებ 12 თვეში ერთხელ;
6. დოკუმენტში ცვლილებები მუშავდება და შედის ამ დოკუმენტის გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ სამართ-ლებრივი/სხვ. დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს დოკუმენტი;
7. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარი ინახება: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში (ორიგინალი, ელ.ვერსია);
8. დოკუმენტის მოქმედი ელ.ვერსია განთავსებულია ბტუ-ს ვებგვერდზე www.btu.edu.ge

2. ძირითადი საფუძვლები

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
2. საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“;
3. საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
4. უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი კანონქვემდებარე აქტები;
5. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
6. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრონციპები (European Standards and Guidelines – ESG-2015);
7. ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. მოთხოვნები;
8. ISO 21001:2018 - საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემები - ხარისხის მენეჯმენტის სისტემა. მოთხოვნები;
9. ბტუ-ს შინაგანაწესი;
10. ბტუ-ს მისია, განვითარების სტრატეგია, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
11. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
12. ბტუ-ს ხარისხის მართვის და უზრუნველყოფის სფეროში მოქმედი დებულებები, წესები, ინსტრუქციები.

3. ბტუ-ს ძირითადი შესაძლო შემოკლებები და განმარტებები

ბტუ ან უნივერსიტეტი -	შპს „ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი“;
ფუნდამენტური დოკუმენტი -	ბტუ-ს დოკუმენტი, რომელიც სარგებლობს უპირატესი ძალით ბტუ-ს სხვა შიდა დოკუმენტებთან მიმართებაში და წარმოადგენენ მათ საფუძველს;
შიდა ნორმატიული დოკუმენტი -	ბტუ-ს დოკუმენტი, რომელიც ადგენს ბტუ-ს საქმიანობის შიდა მარეგულირებელ ნორმებს, საერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს (მოქმედ დოკუმენტებში გამოყენებულია დასახელება „ნორმატიურლი დოკუმენტი“);
სტრატეგიული დოკუმენტი -	ბტუ-ს დოკუმენტი, რომელიც ადგენს ბტუ-ს ხედვას მისი განვითარების მიმართულებების შესახებ;
მეთოდოლოგიური დოკუმენტი -	ბტუ-ს დოკუმენტი, რომელიც აღწერს ბტუ-ს საქმიანობის ამა თუ იმ ასპექტის/სფეროს მოწესრიგების პროცესს, მის თავისებულებებს და გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო შესაბამისი აქტივობების განხორციელებისას;
თანამდებობრივი ინსტრუქცია -	ბტუ-ს შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული პირის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, უფლებებს და პასუხისმგებლობას;
სტრუქტურული ერთეულის დებულება -	ბტუ-ს შიდა ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის სფეროს და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის/პერსონალის დანიშვნის წესსა, მათ თანამდებობრივ ფუნქციებს და სხვ.;
აღრიცხული ეგზემპლარი -	დოკუმენტი, რომელსაც აქვს სააღრიცხვო კოდი დოკუმენტთა ნომენკლატურის მიხედვით;
საგანმანათლებლო პროგრამა -	საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა;
სტუდენტი -	პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/ სამაგისტრო/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
მაგისტრანტი -	პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
დოქტორანტი -	პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
უსდ/სდ -	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;
ხს -	ხარისხის სისტემა;
ECTS -	კრედიტებისა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;
ENQA -	European Network for Quality Assurance;
ESG -	European Standards and Guidelines;
ISO -	სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

1. **ზოგადი დებულებები**

1. "ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" (შემდგომში - ბტუ) წინამდებარე მაგისტრატურის დებულება (შემდგომში - დებულება) აღწერს ბტუ-ში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების თავისებურებებთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს. წინამდებარე დებულება შემუშავებულია განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების საფუძველზე. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით ან ბტუ-ს სხვა მარეგულირებელი წესებით/დებულებებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე;

2. წინამდებარე დოკუმენტი საჯაროა. ბტუ-ში მოქმედი საერთო წესი: ბტუ უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მათ შორის, ვებგვერდის მეშვეობით. ბტუ-ს სტუდენტები, პერსონალი და სხვა პირები ვალდებულნი არიან გაეცნონ ბტუ-ს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას და შეასრულონ ბტუ-ში მოქმედი მოთხოვნები, რომელთა არცოდნა არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან;

3. ყველა საკითხი, რომელიც მიეკუთვნება ამ დოკუმენტის რეგულირების სფეროს, მაგრამ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტში და ბტუ-ს სხვა მარეგულირებელ დებულებებში/წესებში, გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა**

1. პროგრამის შემუშავება, დამტკიცება, მოდიფიცირება, ცვლილებების შეტანა, გაუქმება

ბტუ-ში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - სამაგისტრო პროგრამა ან პროგრამა) შემუშავების, ცვლილებების შეტანის, პროგრამის გაუქნების და დამტკიცების საკითხები რეგულირდება ბტუ-ში მოქმედი დოკუმენტით „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია". სამაგისტრო პროგრამას და მასში ცვლილებებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო.

2. პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებლები

1. პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის საქმიანობა, ფუნქციები და უფლება-მოვალეობები რეგულირდება „საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობრივი ინსტრუქციით";

2. პროგრამას განახორციელებენ აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები (შემდგომში - მოწვეული პერსონალი).

3. პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ინფორმაციის საჯაროობის მიზნით პროგრამის კურიკულუმის/აღწერილობის სრული ელ.ვერსია ატვირთულია ბტუ-ს ვებგვერდზე (https://btu.edu.ge/ka/stsavla-btu-shi/programebi) და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ასევე, ბტუ-ს ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის პირობების, სწავლის საფასურის, პროგრამის განმახორციელებლების შესახებ, ბტუ-ს საკონტაქტო ინფორმაცია და სხვ. პროგრამასთან დაკავშირებით ბტუ-ში სწავლის მსურველებს და მაგისტრანტებს კონსულტაციას გაუწევენ ფაკულტეტის დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი, საჭიროების შემთხვევაში - პროგრამის კომპონენტების განმახორციელებლები.

4. სწავლების ენა

სწავლების ენა არის ქართული, დასაშვებია უცხოურ ენაზე პროგრამის ცალკეული კომპონენტის შეთავაზება. პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებული საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

5. პროგრამის მოცულობა. პროგრამით სწავლების ხანგრძლივობა

1. პროგრამის მოცულობა; 120 კრედიტი / არანაკლებ 60 კრედიტი (კანონმდებლობით დაშვებულ შემთხვევებში);

2. პროგრამით სწავლის ხანგრძლივობა (ძირითადი ვადა): 4 სემესტრი (120-კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში) / min 2 – max 3 სემესტრი (არანაკლებ 60-კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში);

3. არანაკლებ 60-კრედიტიანი პროგრამის მოცულობა, სწავლების თავისებურებები და პროგრამით სწავლის ხანგრძლივობა (ძირითადი ვადა) განისაზღვრება პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და მიეთითება პროგრამის კურიკულუმში;

4. პროგრამით სწავლის ვადის გაგრძელება (დამატებითი სემესტრები): +2 სემესტრი. დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელება დასაშვებია, თუ ამ ვადაში იქნება შესაძლებელი პროგრამის მოთხოვნების შესრულებით კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების მიღება (აკადემიურ წელს არაუმეტეს 75 კრედიტის პირობით). დამატებით სემესტრებში სწავლის საკითხი რეგულირდება ამ დებულებით.

6. პროგრამის სტრუქტურა. პროგრამის კომპონენტები

1. სამაგისტრო პროგრამა არის მაგისტრის აკადემიური ხარისხის/შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კომპონენტების ერთობლიობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროგრამის მიზნების და დაგეგმილი შედეგების მიღწევა მაგისტრატურის საფეხურისთვის კანონმდებლობით და უმაღლესი განათლების დარგობრივი მაჩველებლებით (არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრული დონით;

2. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ბტუ-ს მისიას, იყოს შედგენილი ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) შესაბამისად და ჰქონდეს თანმიმდევრული სტრუქტურა. პროგრამის კომპონენტების შესწავლის თანმიმდევრობა უნდა იყოს ლოგიკური და უზრუნველყოფდეს ცოდნის გადაცემას პრინციპით „ზოგადიდან - კონკრეტულამდე, მარტივიდან - რთულამდე";

3. სამაგისტრო პროგრამის თავისებურებები:

1) პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, პროგრამის შინაარსის და მისანიჭებელი კვალიფიკაციის თავისებურებების გათვალისწინებით
2) სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა მოიცავს სასწავლო კომპონენტებს (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი) და სავალდებულო კვლევით კომპონენტს (დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი/სხვ.). პროგრამის სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში შეთავაზებული არჩევითი კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობა უნდა აღემატებოდეს პროგრამის არჩევითი ნაწილისთვისთვის განსაზღვრულ კრედიტებს და იძლეოდეს არჩევანის შესაძლებლობას;
3) პროგრამაში შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას კონცენტრაცია(იები), რაც გულისხმობს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების/მოდულების დაჯგუფებას კონკრეტულ თემაზე/საკითხზე ფოკუსირებით. კონცენტრაციას (კანონმდებლობით დადგენილი კრედიტების რაოდენობით) აქვს სწავლის შედეგი, რომელიც გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგებში. კონცენტრაციის არსებობა არ ცვლის პროგრამის სწავლის სფეროს ან/და მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
4) პროგრამით შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების ან ბტუ-ს გაცვლითი პროგრამით გავლილი სასწავლო კურსების კონცენტრაციით მაგისტრანტს შეუძლია ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროფილის ფორმირება;
5) პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება მოიცავს უმაღლესი განათლების საფეხურის შესაბამის ზოგად აღმნიშვნას (მაგისტრი), კვალიფიკაციის და დეტალურ სფეროში არსებული სწავლის სფეროს დასახელებას. კვალიფიკაციის სწავლის სფერო აისახება დიპლომის დანართში.

7. პროგრამის კვლევითი კომპონენტი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი

1. პროგრამის კვლევითი კომპონენტი არის სავალდებულო და შეიძლება წარმოდგენილ იქნეს წერითი სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/სხვ. (შემდგომში ყველა - ნაშრომი) სახით, რომელიც უნდა შესრულდეს ინდივიდუალურად. მომიჯნავე/იგივე კვლევის თემა შეიძლება არჩეულ იქნეს არაუმეტეს 03 მაგისტრანტის მიერ, ამის მიზანშეწონილობას/შესაძლებლობას ადგენს კვლევის ხელმძღვანელი;

2. სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის დაწყებამდე აკადემიური საბჭო ამტკიცებს კვლევის (ნაშრომების) თემებს და, შესაბამისად, ნაშრომების ხელმძღვანელების კანდიდატურებს;

3. მაგისტრანტი: ა) ირჩევს შემოთავაზებულიდან მისთვის ნაშრომის თემას, შესაბამისად - ხელმძღვანელს, და განცხადებით ამის შესახებ მიმართავს ფაკულტეტის დეკანს ან ბ) წარმოადგენს მისთვის საინტერესო კვლევის თემას/თემებს დასამტკიცებლად, აკადემიური საბჭო განიხილავს კვლევის თემას და დადებითი გადაწყვეტილების (თემის დამტკიცების შემთხვევაში) შეარჩევს (ამტკიცებს) კვლევის (ნაშრომის) ხელმძღვანელს, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა. უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მაგისტრანტი დადგენილ ვადაში ირჩევს შეთავაზებულიდან კვლევის (ნაშორმის) თემას. მაგისტრანტს უფლება აქვს შეცვალოს მის მიერ არჩეული ნაშრომის თემა ან უარი თქვას ნაშრომის ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს არა უგვიანეს ერთი კვირისა ნაშრომზე მუშაობის დაწყებიდან. განცხადების განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მას ეძლევა ახალი ნაშრომის თემის არჩევის შესაძლებლობა ან ენიშნება სხვა ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი;

4. მაგისტრანტის ნაშრომის ხელმძღვანელი (შემდგომში - მაგისტრანტის/ნაშრომის ხელმძღვანელი) შეიძლება ბტუ-ს აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი და/ან პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელი, რომელსაც უნდა უდასტურდებოდეს კვლევის თემის შესაბამისი კომპეტენცია (უნდა ჰქონდეს ცოდნა იმ საკვლევის საკითხის ირგვლივ, რომელსაც მაგისტრანტი აირჩევს) - მაგისტრანტის ხელმძღვანობის კომპეტენცია შეიძლება დასტურდებოდეს: დარგის შესაბამისი დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხით ან/და დარგის შესაბამისი პროფესიული/პრაქტიკული გამოცდილებით/სპეციალური მომზადებით და/ან შესაბამის დარგში შესრულებუ-

ლი ნაშრომებით/პუბლიკაციებით. საჭიროების შემთხვევაში (კვლევის პროცესის ხელშეწყობის მიზნით), საჭიროების შემთხვევაში (კვლევის პროცესის ხელშეწყობის მიზნით), აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით მაგისტრანტს შეიძლება დაენიშნოს კონსულტანტი, რომელსაც აქვს კვლევის ზოგადი თემატიკის სფეროში/მიმართულებით კვლევის გამოცდილება და/ან არის შესაბამის სფეროში აღიარებული სპეციალისტი ან კვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით - შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირი;

5. სპეციფიკიდან გამომდინარე, მაგისტრანტს შეიძლება ჰყავდეს რამდენიმე ხელმძღვანელი, მათ შორის პროფესიული გამოცდილების მქონე პირი;

6. ბტუ-ში მოქმედი „პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ საფუძველზე განისაზღვრება თუ რამდენ მაგისტრანტს შეუძლია უხელმძღვანელოს ერთმა პირმა. მხედველობაში მიიღება შემდეგი გარემოებები: 1) პირის კვირეული დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 40 სთ.; 2) ბტუ-ში პირის ჯამური კვირეული დატვირთვა (სასწავლო და სხვა საქმიანობა), სთ; 3) სემესტრის ხანგრძლივობა; 4) ერთი ნაშრომის ხელმძღვანელისთვის დადგენილი დატვირთვა;

7. მაგისტრანტის ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული მაგისტრანტის ხელმძღვანელობაზე როგორც ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე, ისე მუშაობის პროცესში, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს დეკანს არა უგვიანეს ერთი კვირისა ნაშრომზე მუშაობის დაწყებიდან. ხელმძღვანელის განცხადების განხილვისა და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მაგისტრანტს ეძლევა ახალი თემის არჩევის შესაძლებლობა ან ენიშნება სხვა ხელმძღვანელი;

8. ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები:

1) მაგისტრანტის ხელმძღვანელი:

1. განუმარტავს მაგისტრანტს მოთხოვნებს სამაგისტრო ნაშრომისასდმი, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის თავისებურებებს, ნაშრომის შეფასების წესს და კრიტერიუმებს;
2. საკვლევი თემის თავისებურებებისა და მაგისტრანტის შესაძლებლობების გათვალისწინებით ირჩევს რელევანტურ სწავლების მეთოდებს, რჩევებით და რეკომენდაციებით ეხმარება მაგისტრანტს დააკონკრეტოს კვლევის მიზნები, ამოცანები, მეთოდოლოგია, გეგმა და კვლევასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;
3. მაგისტრანტს უწევს კონსულტირებას ნაშრომის სტრუქტურულად აგებაში;
4. მაგისტრანტის მხრიდან კითხვების არსებობის შემთხვევაში მაქსიმალურად ამომწურავად გასცემს პასუხს, აძლევს მიმართულებას თუ სად და როგორ შეიძლება თეორიული მასალების მოძიება;
5. ახდენს მაგისტრანტის საჭიროებების და პრობლემური ასპექტების იდენტიფიცირებას;
6. რეგულარული კონსულტაციებით, რჩევებითა და პერიოდული უკუკავშირით ეხმარება პრობლემების გადაჭრაში და სხვ.;
7. მუდმივად საქმის კურსშია მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროგრესზე და მაგისტრანტის პროგრესიაზე; სისტემატურად აკონტროლებს მაგისტრანტის საქმიანობას, კვლევის მიმდინარეობას და მის ხერისხს;
8. დროულად აძლევს უკუკავშირს მაგისტრანტს;
9. საჭიროების შემთხვევაში ხელს უწყობს მაგისტრანტს (საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე) დარგის შესაბამის პრაქტიკოს-მენტორთან/სხვ. თანამშრომლობას;
10. მაგისტრანტთან ერთად განიხილავს ანტიპლაგიატის პროგრამით ნაშრომის შემოწმების შედეგებს და ხელს უწყობს მაგისტრანტს ხარვეზეის აღმოფხვრაში;
11. მაგისტრანტთან ერთად განიხილავს განიხილავს მაგისტრანტის შესრულებულ სამუშაოს, სამაგისტრო ნაშრომს, საჯარო დაცვისთვის ნაშრომის მომზადებულ პრეზენტაციას, სხვ.;
12. განიხილავს დასრულებულ სამაგისტრო ნაშრომს და რეცენზენტებისთვის და საჯარო დაცვის კომისიისთვის ნაშრომის გადაცემის შესაძლებლობას, აღნიშნულთან დაკავშირებით ამზადებს წერილობით დასკვნას.

2) პასუხისმგებელია მაგისტრანტის კვლევის სრულფასოვან განხორციელებაზე და ვალდებულია:

1. შეასრულოს მაგისტრატურის დებულებით, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სახელმძღვანელოთი და „ეთიკის და აკადემიური ეთიკის“ კოდექსით გათვალისწინებული ფუნქციები;
2. შეიმუშაოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში მითითებული პირობები, მათ შორის მაგისტრანთან შეხვედრების და კონსულტაციების ნაწილში - მაგისტრანტისთვის რელევანტური დახმარების გაწევის, მისი საჭიროებებისა და კვლევის თავისებურებების შესაბამისად განსაზღვროს კონსულტაციების სიხშირე და საათების რაოდენობა;
3. განუმარტოს მაგისტრანტს ბტუ-ში მოქმედი აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის მოთ-

ხოვნები, მათი დაცვის მნიშვნელობა და სტანდარტის დარღვევისთვის გათვალისწინებული სანქციები, პერიოდულად შეამოწმოს მაგისტრანტის მიერ ამ სტანდარტის შესრულება;

4. მისცეს მაგისტრანტს ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული რჩევები, შენიშვნები, რეკომენდაციები;
5. გაუწიოს მაგისტრანტს მეთოდური ხელმძღვანელობა, დაეხმაროს მაგისტრანტს ნაშრომის გეგმის შედგენაში, თანამედროვე რელევანტური ლიტერატურის, უახლესი ინფორმაციისა და მონაცემების მოძიებაში, კვლევის თანამედროვე მეთოდების შერჩევაში და გამოყენებაში;
6. უზრუნველყოს მაგისტრანტს კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისების, აუცილებელი მასალებით და აღჭურვილობით სარგებლობის ხელშეწყობა;
7. დაეხმაროს მაგისტრანტს ნაშრომის მომზადების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში;
8. კვლევის თავისებურებებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე დროულად შეიმუშავოს და წარადგინოს რეკომენდაციები სპეციალური კომპეტენციის მქონე პირთა მოწვევის, დარგობრივი ორგანიზაციების ჩართულობის, კვლევის აუცილებელი მასალებით, აღჭურვილობით და/ან სხვა რესურსებით უზრუნველყოფის თაობაზე;
9. გაეცნოს ყველა ანკეტას, კითხვარს, ტესტს, ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობის მეთოდებს და ა.შ., რომელთა გამოყენებას აპირებს მაგისტრანტი კვლევის პროცესში, დარწმუნდეს რომ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და მათი გამოყენებით არ ირღვევა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, პერსონალური მონაცემების/სხვ. არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობა, საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციისთვის მიმართოს ბტუ-ს იურიდიულ სამსახურს;
10. მაგისტრანტის საქმიანობის ხელშეწყობის და საორგანიზაციო საკითხების ოპერატიულად გადაჭრის მიზნით ითანამშრომლოს პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის სხვა განმახორციელებლებთან და ბტუ-ს სტრუქტურულ ერთეულებთან;
11. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მაგისტრანტს შეუდგინოს მის საჭიროებებზე ორიენტირებული ინდივიდუალური სამუშაო გეგმა, შეარჩიოს კონსულტაციების და შეხვედრების რელევანტური პერიოდულობა და ჩატარების ფორმატი. ასევე, საჭიროების შემთხვევაში მიმართოს პროგრამის ხელმძღვანელს და ფაკულტეტის დეკანს შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტების ჩართულობის მიზნით;
12. მოამზადოს დასკვნა, რომელიც უნდა იქნეს წარმოდგენილი ნაბეჭდი სახით და ხელმოწერილი ხელმძღვანელის მიერ (მოთხოვნები ხელმძღვანელის დასკვნისადმი მითითებულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში). რამდენიმე ხელმძღვანელის შემთხვევაში დასკვნაში უნდა იყოს მითითებული ყველა მათგანის პოზიცია - მოსაზრებები ნაშრომის შესახებ და რეკომენდაცია შეფასებაზე დაშვების და რეცენზენტ(ებ)ისთვის ნაშრომის გადაცემის შესახებ (განსხვავებული პოზიციების შემთხვევაში საკითხს განიხილავს ფაკულტეტის საპრეტენზიო კომისია (იხ. ფაკულტეტის დებულება).

3) მაგისტრანტის ხელმძღვანელი ვალდებულია შეასრულოს აკადემიური ეთიკის და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების მოთხოვნები, მათ შორის ბტუ-ს „ეთიკის და აკადემიური ეთიკის კოდესით“ ნაშრომის ხელმძღვანელისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობები;
4) მაგისტრანტის ხელმძღვანელი ვალდებულია გაეცნოს ბტუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულ (საჯარო ინფორმირება) და ბტუ-ს ოფიციალური ელ.ფოსტით გამოგზავნილ (პირადი ინფორმირება) ინფორმაციას და შეასრულოს შესაბამისი მოთხოვნები, რომელთა არცოდნა არ ათავისუფლებს ამ მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისგებლობისაგან;
5) მაგისტრანტის ხელმძღვანელს აქვს უფლება: წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით უარი თქვას მაგისტრანტის ხელმძღვანელობაზე; გაეცნოს ნებისმიერი გადაწყვეტილების პროექტს, რომლებიც ეხება პროგრამის განხორციელებას, მაგისტრანტის და საკუთარ საქმიანობას, წარადგინოს წინადადებები ფუნქციებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული სამუშაოების სრულყოფისათვის; მოითხოვოს შრომითი ხელშეკრულების პირობების შესრულება; მოითხოვოს ფუნქციების, ვალდებულებების და უფლებების შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები, შრომის სათანადო პირობების შექმნა, შრომის სათანადო პირობების შექმნა და დახმარების გაწევა თავისი თანამდებობრივი ვალდებულებებისა და უფლებების შესრულებისათვის;
6) მაგისტრანტის ხელმძღვანელი ასრულებს მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის მოთხოვნების და მოქმედი წესების შესრულებასთან დაკავშირებულ, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით, წინამდებარე დებულებით და თანამდებობრივი ინსტრუქციით (არსებობის შემთხვევაში) განსაზღვრულ სხვა უფლება-მოვალეობებს;

7) მაგისტრანტის ხელმძღვანელის პირად პასუხისმგებლობას მიეკუთვნება: დაკისრებული მოვალეობების დროულად, ხარისხიაად და პირადად შესრულება; შრომითი დისციპლინის, შინაგანაწესის, ქცევის წესების, ეთიკის კოდექსის დაცვა; არასაჯარო ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა;
8) მაგისტრანტის ხელმძღვანელს უფლებამოსილება უწყდება: პირადი განცხადებით, მაგისტრანტისთვის ხელმძღვანელის შეცვლის, მაგისტრანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის, მაგისტრანტის მიერ ნაშრომის დაცვის (კრედიტის მინიჭების) შემთხვევაში. ასევე ბტუ-ს გადაწყვეტილებით მაგისტრანტის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რომლებიც წარმოადგენენ ბტუ-ს პერსონალთან შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის საფუძველს; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში.

9. სამაგისტრო ნაშრომს ენიშნება რეცენზენტ(ებ)ი, რაც ხდება სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პერიოდის დასრულებამდე. რეცენზენტი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი, რეცენზენტი შეიძლება იყოს ბტუ-ს აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტი და/ან სხვა უსდ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი. ასევე, ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაშრომის რეცენზენტი შეიძლება იყოს დარგში პროფესიული გამოცდილების მქონე პირი. რეცენზენტს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული მაგისტრანტის ნაშრომის რეცენზენტობაზე, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს დეკანს მისთვის ნაშრომის გადაცემამდე. მაგისტრანტს უფლება აქვს უარი თქვას ნაშრომის კონკრეტულ რეცენზენტზე, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს დეკანს რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემის ვადის დადგომამდე. განცხადების განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ნაშრომს ენიშნება სხვა რეცენზენტი. რეცენზენტი განიხილავს ნაშრომს და ამზადებს რეცენზიას (დასკვნას). რეცენზენტის დასწრება დაცვაზე არ არის სავალდებულო. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის კომისიას, ნაშრომის ხელმძღვანელს და მაგისტრანტს შეუძლიათ მისი მოწვევა, რეცენზენტს შეუძლია მოითხოვოს დაცვაზე მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა. რეცენზია უნდა იყოს ნაბეჭდი სახით წარმოდგენილი, დადასტურებული რეცენზენტის ხელმოწერით (მოთხოვნები რეცენზიისადმი მითითებულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში);

10. სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს წერითი ფორმით წარმოდგენილი და აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: 1) ნაშრომის მოცულობა - A4 ზომის საშუალოდ 50-70 გვერდი (გამომდინარეობს კვლევის სპეციფიკიდან); 2) ნაშრომის სტრუქტურა და გაფორმება - CHICAGO-ს საერთაშორისო აკადემიური სტილი; ბტუ-ში მოქმედი „სამაგისტრო ნაშრომის შექმნის სახელმძღვანელო“ https://btu.edu.ge/chven-shesakheb/maregulirebeli-dokument/;

11. სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/სხვ. (შემდგომში - ნაშრომი) შეფასება ხდება ერთჯერადად (დასრულებული ნაშრომის დასკვნითი შეფასებით), საჯარო დაცვის კომისიის წევრების მიერ. საჯარო დაცვაზე ნაშრომის დაშვების პირობებია: სტუდენტის აქტიური სტატუსი, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებთან ნაშრომის შესაბამისობა, ბტუ-ში მოქმედ მოთხოვნებთან ნაშრომის სტრუქტურის და გაფორმების შესაბამისობა, გადაწყვეტილება საჯარო დაცვაზე ნაშრომის შესახებ (ნაშრომში, რომელიც არ იქნება დაშვებული საჯარო დაცვაზე, ფიქსირდება F შეფასება). ნაშრომის მომზადებასთან, შეფასებასთან, სხვ. დაკავშირებული საკითხები აღწერილია ნაშრომის სილაბუსში.

8. პროგრამის აღწერილობა (კურიკულუმი). პროგრამის კომპონენტის სილაბუსი

1. პროგრამის აღწერილობაში (კურიკულუმში) უნდა იყოს მითითებული: პროგრამის დასახელება; უმაღლესი განათლების საფეხური; პროგრამის სფერო; მისანიჭებელი კვალიფიკაცია; პროგრამის მოცულობა კრედიტებით; სწავლების ენა; პროგრამაზე მიღების წინაპირობები; პროგრამის მიზნები; დაგეგმილი შედეგები; სწავლა-სწავლების მეთოდები; მაგისრანტის შეფასების სისტემა; სასწავლო გეგმა; კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლო სფეროები; კურსდამთავრებულის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. კურიკულუმს (პროგრამის აღწერას) შეიძლება დაერთოს სწავლის შედეგების რუკა (პროგრამის სავალდებულო კომპონენტის მითითებით), ინფორმაცია პროგრამის რესურსების შესახებ. კურიკულუმს უნდა დაერთოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებული პროგრამის კომპონენტის პროგრამები (სილაბუსები);

2. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, პრაქტიკა, სხვ.) სილაბუსში უნდა იყოს მითითებული: პროგრამის კომპონენტის დასახელება; პროგრამის დასახელება; უმაღლესი განათლების საფეხური; სწავლების ენა; სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი); სილაბუსის ავტორი/განმახორციელებელი და საკონტაქტო ინფორმაცია; კრედიტები, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები; დაშვების წინაპირობები; მიზნები; დაგეგმილი შედეგები; შინაარსი; სწავლა-წავლების მეთოდები; შეფასების სისტემა; სასწავლო კურსის შემთხვევაში - სავალდებულო (ძირითადი) და დამატებითი (დამხმარე) ლიტერატურა, სხვა რესურსები (არსებობის შემთხვევაში);

3. ზემოთ მითითებულის გარდა, კურიკულუმი და სილაბუსი შეიძლება შეიცავდეს სხვა ინფორმაციასაც;
4. ბტუ-ში მოქმედებს კურიკულუმის და სილაბუსის უნიფიცირებული ფორმები.

9. პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობისა და შესაძლებლობის უზრუნველყოფა

1. არჩევანის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა: პროგრამის სასწავლო გეგმაში და სილაბუსებში მითითებულია პროგრამის კომპონენტის დასახელება, კრედიტების რაოდენობა, შესწავლის წინაპირობები, სხვ. კურიკულუმების და პროგრამებით გათვალისწინებული კომპონენტების სილაბუსების ელ.ვერსიები ატვირთულია სასწავლო პროცესის მართვის ელ.სისტემაში, რაც უზრუნველყოფს არჩევანის გამჭვირვალობას;
2. არჩევანის შესაძლებლობის უზუნველყოფა: პროგრამის სასწავლო გეგმით შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობების ჯამი აღემატება პროგრამის არჩევითი კომპონენტისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობას. წელიწადში 2-ჯერ (აკადემიური რეგისტრაციის დროს) მაგისტრანტი ირჩევს სასურველ სასწავლო კურსს/მოდულს (რეგისტრირდება მასზე). სემესტრის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში მას შეუძლია არჩევანის შეცვლა - რეგისტრაციის გაუქმება და მისთვის სასურველი სხვა სასწავლო კურს(ებ)ის/მოდულების არჩევა.

10. მაგისტრანტის დატვირთვა. კრედიტი. სასწავლო განრიგი

1. მაგისტრანტის დატვირთვას გამოხატავს კრედიტი - ერთეული, რომელიც მოიცავს დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო დამოუკიდებელ და საკონტაქტო საათებს. საკონტაქტო საათი - პროგრამის პერსონალის ჩართულობით მაგისტრანტის საქმიანობისთვის განსაზღვრული დრო, დამოუკიდებელი საათი - პროგრამის პერსონალის ჩართულობის გარეშე მაგისტრანტის საქმიანობის დრო:
2. ბტუ-ში 1 კრედიტი = 25 საათს (მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს);
3. კრედიტის მიღება შეიძლება მხოლოდ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემთხვევაში, რაც გამოიხატება კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით (51-100 ქულა);
4. დამატებითი შეფასებისთვის (გამოცდისთვის/დაცვისთვის/სხვ.) მომზადების, ჩაბარების, შეფასების, ასევე კონსულტაციებისთვის განსაზღვრული დრო არ წარმოადგენს კრედიტის შემადგენელ ნაწილს;
5. ბტუ-ში:
   1) 1 აკადემიური საათი უდრის 1 ასტრონომიულ საათს. ერთ აკადემიურ საათში მოიაზრება: 50 წუთი საუდიტორიო დრო + 10 წუთი შესვენება;
   2) 01 აკადემიური წელი მოიცავს 02 სემესტრს - შემოდგომის სემესტრი (max 21 კვირა) და გაზაფხულის სემესტრი (max 25 კვირა) - და არდადეგებს მათ შორის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემთხვევაში სემესტრის ხანგრძლივობა შესაძლოა განსხვავდებოდეს მითითებულისაგან;
   3) სემესტრის დასრულების შემდეგ არის არდადეგები, მათი ხანგრძლივობა დაკავშირებულია მიმდინარე სემესტრის დამთავრებისა და მომდევნო სემესტრის დაწყების თარიღებთან და განისაზღვრება თითოეული აკადემიური წლისთვის;
   4) სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი შეფასების ჩატარებისა და დამატებით შეფასებაზე მაგისტრანტთა შეფასებისა და შედეგების გამოცხადების პერიოდის ჩათვლით;
   5) სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას;
   6) 01 აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს (სემესტრში - საშუალოდ 30 კრედიტს). ამავდროულად, პროგრამის ან მაგისტრანტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია მაგისტრანტის წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე (ასევე, სემესტრში - 30 კრედიტზე) ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა (შემოდგომის სემესტრში - არაუმეტეს 40 კრედიტისა, გაზაფხულის სემესტრში - არაუმეტეს 50 კრედიტისა).
6. ბტუ უფლებამოსილია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლება-სწავლის პროცესი განახორციელოს არასრული დატვირთვით. ამ შემთხვევაში: ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს, ხოლო მაგისტრანტის სასწავლო დატვირთვა კვირაში - დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა;
7. საკონტაქტო საათებში გათვალისწინებული საქმიანობა (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაბა და სხვ.) ტარდება პროგრამის სასწავლო გეგმის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების საფუძველზე ერთი სემესტრისათვის შედგენილი ცხრილებით, რომლებიც განთავსებულია ბტუ-ს სასწავლო პროცესის ელ.მართვის სისტემაში. სასწავლო კურსებში შუალედური გამოცდების რაოდენობა და კვირები - ერთი შუალედური გამოცდა, შუალედური გამოცდების რეკომენდებული პერიოდი - VIII კვირა. განსხვავებული პერიოდი შეიძლება დადგინდეს პროგრამის კომპონენტის განმახორციელებლის დასაბუთებული გადაწყვეტილებით, რაც უნდა მოხდეს აკადემიური წლის (სემესტრის) დაგეგმვისას, შუალედური

გამოცდ(ებ)ის რაოდენობის/კვირების ზუსტად მითითებით და მაგისტრანტების წინასწარი (არაუგვიანეს სემესტრის დაწყებისა) ინფორმირებით. თუ დადგენილისაგან განსხვავებული შუალედური გამოცდების პერიოდი იგეგმება მხოლოდ ერთი აკადემიური წლისთვის (სემესტრისთვის), მაშინ ეს ხდება დეკანის განკარგულებით, ზემოთ მითითებული წესით მაგისტრანტების ინფორმირებით, სილაბუსში ცვლილებების გარეშე. ყველა სხვა შემთხვევაში შუალედური გამოცდ(ებ)ის პერიოდის, ასევე გამოცდების რაოდენობის, ცვლილება უნდა აისახოს სილაბუსში (ცვლილება დამტკიცებულად ითვლება);

8. ბტუ-ში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო ჯგუფებისთვის დადგენილი განრიგით (ცხრილებით). განსაკუთრებულ, ბტუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც საპატიო მიზეზის გამო შეუძლებელია ამ განრიგის დაცვა, მაგისტრანტის ხელშეწყობის მიზნით: ა) მაგისტრანტი შეძლებს სხვა სასწავლო ჯგუფ(ებ)ისთვის დადგენილ დღეებში/საათებში მეცადინეობებზე და კონსულტაციებზე დასწრებას, დადგენილისგან განსხვავებულ თარიღებში შუალედურ გამოცდებზე, დასკვნით შეფასებებზე/დაცვებზე და სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში მიმდინარე სემესტრის პერიოდში დამატებით შეფასებებზე/ დაცვებზე გასვლას; ბ) შეიძლება შემუშავდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

9. ბტუ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილებები დასკვნითი შეფასებების პერიოდის დასრულების შემდგომ, სემესტრის დარჩენილ ვადაში: 1) ინტენსიური სწავლებით პროგრამის იმ სასწავლო კომპონენტების შესწავლის შესაძლებლობის შესახებ, რომლებშიც მაგისტრანტებს მისაღები აქვთ კრედიტები მობილობის ან უარყოფითი (F) შეფასების გამო (უნდა იყოს დაცული შემდეგი პირობები - ა) წელიწადში დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს, ბ) ინტენსიური სწავლიების პერიოდში მისაღები კრედიტების რაოდენობით მაგისტრანტის სასწავლო დატვირთვა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამი) არ უნდა აღემატებოდეს მაქსიმალურ შესაძლო სრულ დატვირთვას - კვირაში 50 სთ-ს); 2) ინტენსიურ სწავლებაზე უარის თქმის შესახებ. ამ შემთხვევებში პროგრამის კომპონენტების შესწავლა მოხდება სასწავლო გეგმით დადგენილ/დადგენილთან თავსებად შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრში. გადაწყვეტილება მიიღება რექტორის მიერ ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით დასკვნითი შეფასებების პერიოდის დასრულებამდე. გადაწყვეტილების შესახებ ხდება მაგისტრანტების ინფორმირება;

10. უქმე დღეებად მიიჩნევა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეები: 1 და 2 იანვარი; 7 იანვარი; 19 იანვარი; 3 მარტი; 8 მარტი; 9 აპრილი; სააღდგომო დღეები (დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, აღდგომის დღე, აღდგომის მეორე დღე - ორშაბათი. თარიღები გარდამავალია); 9 მაისი; 12 მაისი; 26 მაისი; 28 აგვისტო; 14 ოქტომბერი; 23 ნოემბერი. კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეების გარდა ბტუ-ს გადაწყვეტილებით შეიძლება დამატებითად განისაზღვროს ბტუ-ში დასვენების/უქმე დღეები.

11. მაგისტრანტის შეფასება

1. შეფასების ძირითადი პრინციპები:

- საჯაროობის პრინციპი - ინფორმაცია უნდა იყოს თანაბრად ხელმისაწვდომი ყველასთვის;
- გამჭვირვალობის პრინციპი - ინფორმაცია შეფასების სისტემის, ფორმების, კომპონენტების, მეთოდების, კრიტერიუმების და პერიოდულობის შესახებ უნდა იყოს სრული და ამომწურავი;
- თანასწორობის პრინციპი - ყველა მაგისტრანტი უნდა იმყოფებოდეს თანაბარ პირობებში. თითოეულს უნდა მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა კომპეტენციების გამოსავლენად;
- სამართლიანობის პრინციპი - ყველა მაგისტრანტის შეფასება უნდა მოხდეს ერთიანი წესით.

2. მაგისტრანტთა შეფასების წესი:

1) ბტუ-ში პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტის შეფასება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი 100-ქულიანი სისტემით:

შეფასებები	ქულა	შეფასება	
5 დადებითი შეფასება	91 - 100	A	ფრიადი
	81 - 90	B	ძალიან კარგი
	71 - 80	C	კარგი
	61 - 70	D	დამაკმაყოფილებელი
	51 - 60	E	საკმარისი
2 უარყოფითი შეფასება	41 - 50	Fx	ვერ ჩააბარა (მაგისტრანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, მას ეძლევა: 1) პროგრამის სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში - დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით შეფასებაზე ერთხელ გასვლის უფლება / 2) კვლევითი კომპონენტის შემთხვევაში - მომდევნო სემესტრში გადამუშავებული კვლევითი ნაშრომის/პროექტის/ სხვ. წარდგენის უფლება).
	40 - 0	F	ჩაიჭრა (მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი: 1) სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში - მაგისტრანტს სასწავლო კურსი/სხვ. ახლიდან აქვს შესასწავლი / 2) კვლევითი კომპონენტის შემთხვევაში - მაგისტრანტი კარგავს იგივე

			სამაგისტრო ნაშრომის/პროექტის/სხვ. მეორედ წარდგენის უფლებას და მას სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი/სხვ. თავიდან აქვს მოსამზადებელი).

2) პროგრამის ყველა სასწავლო კომპონენტი (სასწავლო კურსი/სხვ.) არის ერთსემესტრიანი. პროგრამის სასწავლო კომპონენტების შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ქულათა ჯამი წარმოადგენს პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებას. შეფასების ორივე ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნით შეფასებაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელმაც სილაბუსის მოთხოვნათა შესაბამისად შუალედურ შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასება მიღებულად ითვლება ამ შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება მხოლოდ შუალედური ან დასკვნითი შეფასების გამოყენებით; Fx შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი შეფასება დანიშნება დასკვნითი შეფასების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 05 კალენდარულ დღეში. F შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტს სასწავლო კურსი/სხვა სასწავლო კომპონენტი თავიდან აქვს გასავლელი;

3) პროგრამის კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი/სხვ.; შემდგომში ყველა - „ნაშრომი“) ფასდება ერთჯერადად - დასკვნითი შეფასებით. შეფასება ხდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც მაგისტრანტი დაასრულებს ნაშრომზე მუშაობას. კვლევითი კომპონენტის შეფასება:
   1. შეფასება არის ერთჯერადი (დასრულებული ნაშრომის დასკვნითი შეფასება) და მოიცავს უშუალოდ ნაშრომისა და ნაშრომის საჯარო დაცვის (შემდგომში - საჯარო დაცვა) შეფასებას. შეფასებას ახორციელებს ერთი და იგივე შემადგენლობის საჯარო დაცვის კომისია;
   2. საჯარო დაცვების პერიოდის დაწყებამდე ფაკულტეტის დეკანი ქმნის საჯარო დაცვ(ებ)ის კომისია/კომისიებს (პროგრამების სპეციფიკის შესაბამისად), განსაზღვრავს მათ შემადგენლობას (კომისიის თავმჯდომარის, მდივნის და წევრების ვინაობა), საქმიანობის ვადას და სხვ. საჯარო დაცვის კომისია (შემდგომში - კონისია) დროებითია და იქმნება კონკრეტული ვადით და მიზნით, რაც განაპირობებს კომისიის შემადგენლობას (დაცვის კომისიის სავალდებულო წევრ(ებ)ი - შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი). შეფასებაზე დაშვებული მაგისტრანტის ნაშრომი და რეცენზიები კომისიას გადაეცემა საჯარო დაცვამდე არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე;
   3. კომისიის სხდომა უფლებამოსილი იქნება თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ½ (დარგის სპეციალისტ(ებ)ის ჩათვლით). კომისიის თავმჯდომარე/მდივანი/წევრი ვალდებულია განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს ობიექტურად გადაწყვეტილების მიღებაში, და ასეთი გარემოების არსებობისას განაცხადოს თვითაცილების შესახებ. კომისიის მუშობის ზოგადი წესი: გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე კომისიის სხდომა დახურულია. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით. კომისიის გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა 1/2-ზე მეტი. კომისიის ყველა წევრი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. გადაწყვეტილების მიღებისას ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა. კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება სხდომის ოქმით, რომელშიც მიეთითება: კომისიის დასახელება; სხდომის თარიღი და ადგილი; თავმჯდომარის და წევრების ვინაობა; მიღებული გადაწყვეტილებები. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. ოქმი გადაეცემა ფაკულტეტის დეკანს;
   4. ნაშრომების დაცვები - საჯაროა;
   5. ნაშრომის და მისი საჯარო დაცვის შეფასება ხდება წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით, კომისიის წევრების მიერ ინდივიდუაურად, შეფასება (ქულა) წარმოადგენს კომისიის წევრების მიერ მინიჭებული შეფასებების (ქულების) საშუალოარითმეტიკულ სიდიდეს;
   6. კომისიის მუშაობის შედეგები (შეფასებები) აისახება ბტუ-ში მოქმედ „სამაგისტრო ნაშრომის და საჯარო დაცვის შეფასების“ ფორმაში;
   7. სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი დაძლეულად (კრედიტი მიღებულად) ითვლება 100 შესაძლო კულიდან შემაჯამებელი არანაკლებ 51 ქულის მიღების შემთხვევაში. Fx შეფასების შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ამ შემთხვევაში მიღებული შეფასება - საბოლოო შეფასებაა, მინიმალური დადებითი შეფასების ვერმიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფორმდება შეფასება F და მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას;
   8. ნაშრომის შესრულებისა და წარდგენის პროცესი, ნაშრომის და საჯარო დაცვის შეფასების კრიტერიუმები, შესაძლო შეფასებების ქულათა გრადაცია, ნაშრომის და საჯარო დაცვის შეფასებებისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ქულა) და სხვ. მითითებულია ნაშრომის სილაბუსში.

4) შეფასების შედეგი გამოცხადდება: 1) დასკვნითი შეფასების ჩატარებიდან არაუმეტეს 05 დღეში; 2) დამატებითი შეფასების ჩატარებიდან - არაუმეტეს 02 კალენდარულ დღეში;
5) დამატებით შეფასებაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში უკვე მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით შეფასებაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში;
6) დამატებით შეფასებაზე მიღებული ქულების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფორმდება შეფასება F;
7) კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაგისტრანტის მიერ პროგრამის კომპონენტის სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შედეგად, რაც გამოიხატება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით;
8) პროგრამის კომპონენტით გათვალისწინებული შეფასების სისტენა (შეფასების ფორმები, კომპონენტები, მეთოდები, კრიტერიუმები) მითითებული პროგრამის კომპონენტის სილაბუსში.

3. აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები (კოეფიციენტები). GPA-ს გამოთვლის პრინციპი:

1) ქვემოთ მოცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებლების (კოეფიციენტების) გაანგარიშების ერთ-ერთი მიზანია ბტუ-ში მიღებული შეფასებების აღიარების გამარტივება იმ უსდ-ის მიერ, რომელიც იყენებს საქართველოში მოქმედისგან განსხვავებულ, მათ შორის, GPA (Grade Point Average) შეფასების სისტემას, და საქართველოში მოქმედ შეფასების სისტემასთან ასეთ უსდ-ში მიღებული შეფასებების თავსებადობის დადგენა. სემესტრის/აკადემიური წლის GPA დამოკიდებულია სემესტრში/აკადემიური წლის განმავლობაში მისაღები და მაგისტრანტის მიერ მიღებული კრედიტების რაოდენობაზე და პროგრამის კომპონენტებში მიღებულ შეფასებებზე (ქულებზე);
2) ქვემოთ მოცემული გამოთვლები შესრულდება დამატებითი შეფასებების ჩატარების შემდეგ, რადგან Fx შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტს დამატებით შეფასებაზე მიღებული ქულით შეიძლება დაუგროვდეს ერთ-ერთი დადებითი შეფასების შესაბამისი ქულა (კრედიტი ჩაეთვალოს მიღებულად). გაანგარიშებისას მიღებული ციფრები მრგვალდება შემდეგი პრინციპით: ოთხი და ოთხს ქვევით - სიმცირისაკენ, ხოლო ხუთი და ზევით - მეტობისაკენ.
3) ბტუ-ში მაგისტრანტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება მიღებული ქულებით (ზემოთ მითითებული 100-ქულიანი სისტემით) და აღნიშნული ქულების ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA);
4) პროგრამის კომპონენტის GPA გამოითვლება ფორმულით: GPA = (X - 50) x 0.06 + 1.0, სადაც X - არის პროგრამის კომპონენტში მიღებული ქულა (100-ქულიანი სისტემით).

100-ქულიანი სისტემის ქულები	შესაბამისი GPA ქულა
100	4
99	3,94
98	3,88
97	3.82
X	(X-50) x 0,06+1.0
51	1,06
1-50	0

GPA გამოითვლება მხოლოდ პროგრამის იმ კომპონენტებისთვის, სადაც მაგისტრანტს მიღებული აქვს კრედიტი (ერთ-ერთი დადებითი შეფასება).

5) სემესტრის $GPA_{(S)}$: სემესტრში ყველა მიღებული „GPA“ მრავლდება კრედიტების რაპდენობაზე და მათი ჯამი იყოფა სემესტრში მისაღები კრედიტების რაოდენობაზე ΣCR=30 (ან სხვა, რამდენზეც იყო დარეგისტრირებული მაგისტრანტი): $GPA_{(S)} = \Sigma(GPA \times CR) / \Sigma CR$
6) აკადემიური წლის $GPA_{(a)}$. აკადემიურ წელს ყველა მიღებული „GPA“ მრავლდება კრედიტების რაოდენობაზე და მათი ჯამი იყოფა აკადემიური წლის განმავლობაში მისაღები კრედიტების რაოდენობაზე (რამდენზეც იყო დარეგისტრირებული მაგისტრანტი): $GPA_{(a)} = \Sigma(GPA \times CR) / \Sigma CR$
7) დიპლომის GPA. პროგრამის $GPA_{(p)}$. პროგრამით სწავლის პერიოდში ყველა მიღებული „GPA“ მრავლდება კრედიტების რაოდენობაზე და მათი ჯამი იყოფა პროგრამის კრედიტების რაოდენობაზე: $GPA_{(p)} = \Sigma(GPA \times CR) / \Sigma CR$. დიპლომის GPA უდრის პროგრამის GPA-ს. თუ მაგისტრანტს არ აქვს მიღებული პროგრამისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობა, მაშინ პროგრამის GPA=0.

12. მაგისტრანტებთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში გათვალისწინებულია მაგისტრანტებთან ინდივიდუალური/ და-

მატებითი მუშაობა (მაგ., კონსულტაციები). ეს საათები არ მიეკუთვნება პროგრამის კომპონენტის კრედიტს და წარმოადგენს მაგისტრანტის მიღწევების გაუმჯობესებისა და შესასწავლი საკითხების უკეთ ათვისების ხელშეწყობის მექანიზმს. კონსულტაციები ტარდება სილაბუსებში მითითებული განრიგით.

13. ინდივიდუალური განრიგი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

1. ბტუ-ში სტატუსის აღდგენა, ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, სასწავლო პროცესი, საგამოცდო პერიოდი მიმდინარეობოს დადგენილი განრიგის შესაბამისად, რომლის დარღვევის საპატიო მიზეზად მიიჩნევა ბნსუ-ს შინაგანაწესში მითითებული გარემოებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიონ ან გამოიწვიეს დადგენილი განრიგის დაცვის და მოქმედი გეგმით სწავლის შეუძლებლობა, მაგისტრანტის ხელშეწყობის მიზნით, მას შეიძლება მიეცეს ერთი სემესტრისთვის შედგენილი ინდივიდუალური განრიგით და/ან გეგმით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ინდივიდუალური განრიგი შეიძლება შემუშავდეს იმ შემთხვევაში, თუ სემესტრის დასრულებამდე იქნება შესაძლებელი პროგრამის კომპონენტების სრულფასოვანი შესწავლა, დასკვნით შეფასებაზე დაშვების პირობის შესრულება, დასკვნითი და დამატებითი (გამოცდების/დაცვების) ჩატარება და მაგისტრანტის შეფასება;

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის აუცილებლობის შესახებ დგება საკითხი, თუკი: მაგისტრანტს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და რეგულარულად საჭიროებს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისას და შეფასებისას; არ აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა ზემოთ მითითებული მიზეზების გამო, გარკვეული დროით საჭიროებს სპეციალურ სასწავლო პროგრამას; სხვ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მაგისტრანტს უპირობოდ ეძლევა ინდივიდუალური განრიგით და გეგმით სწავლის შესაძლებლობა;

3. ინდივიდუალური განრიგით და გეგმით სარგებლობის მიზნით მაგისტრანტმა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - კანონიერმა წარმომადგენლმა) განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს. განცხადება უნდა იყოს წარმოდგენილი წინასწარ. თუ ეს შეუძლებელია ობიექტური მიზეზების გამო, მაშინ უნდა მოხდეს ფაკულტეტის დეკანის ინფორმირება და გონივრულ ვადაში განცხადების და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა. გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი მხედველობაში მიიღება, თუ მასში მითითებულია: ცნობის გამცემი დაწესებულების/პირის დასახელება/ვინაობა, ფაქტობრივი მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ცნობის სარეგისტრაციო ნომერი, ცნობის გაცემის თარიღი და საფუძველი, ცნობა უნდა დასტურდებოდეს ხელმოწერის უფლებამოსილი პირის (ვინაობის და თანამდებობის მითითებით) ხელმოწერით და დაწესებულების ბეჭდით. ბტუ იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი ცნობის/დოკუმენტის ნამდვილობა. განცხადებაში მკაფიოდ უნდა იქნეს მითიებული რას ითხოვს მაგისტრანტი (ინდივიდუალური განრიგი, ინდივიდუალური გეგმა). ზოგადი და დაუსაბუთებელი განცხადება არ განიხილება. განცხადება უნდა იქნეს წარმოდგენილი ბტუ-ში მოქმედი წესით. გადაწყვეტილება მაგისტრანტს ეცნობა მაგისტრანტის განცხადების განხილვისთვის დადგენილ ვადაში; ინდივიდუალური გეგმით შემუშავების და გეგმის გაუქმების საკითხები რეგულირდება ბტუ-ს „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და განხორციელების დებულებით“.

14. პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფა

1. ბტუ-ს მიერ მოქმედი პროგრამის არსებითი შეცვლის (მოდიფიცირების) ან გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში: ა) მოხდება ამ პროგრამის მაგისტრანტების წინასწარი ინფორმირება და აკადემიური წლის/სემესტრის დასრულებამდე მათ მიეცემათ მოქმედი (მოდიფიცირებამდე/გაუქმებამდე არსებული) პროგრამით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა; ბ) პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში მაგისტრანტებისთვის იქნება შეთავაზებული მოდიფიცირებული პროგრამით სწავლის გაგრძელება; გ) პროგრამის გაუქმების შემთხვევაში - იქნება შეთავაზებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დაწყებული კვლევის დასრულების ან შიდამობილობით (სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში) უკვე მიღებული კრედიტების მაქსიმალური აღიარების შესაძლებლობით, ბტუ-ში უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის იმავე/მომიჯნავე სფეროს პროგრამით (არსებობის შემთხვევაში) სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ამ შემთხვევებში უცვლელი რჩება ხელშეკრულებაში დადგენილი სწავლის საფასური პროგრამის შეცვლით გამოწვეული დამატებითი გადასახადების გარეშე;

2. მაგისტრანტი თავისუფალია თავის არჩევანში, მას შეუძლია: ა) მიიღოს ზემოთ მითითებული ბტუ-ს შეთავაზება და სწავლა გააგრძელოს ბტუ-ში; ბ) მოახდინოს მისთვის სასურველი პროგრამის არჩევა სხვა უსდ-ში და ისარგებლოს მობილობის უფლებით. თუ მაგისტრანტმა უარი თქვა ბტუ-ში სწავლის გაგრძელებაზე და ზემოთ მითითებული სწავლის გაგრძელების ვადის გასვლის შემდეგ არ ისარგებლა მობილობის უფლებით, მას შეუჩერდება მაგისტრანტის სტატუსი. ბტუ-ში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში ბტუ ადგენს გაუქმებული/შეცვლილი და მაგისტრანტის მიერ არჩეული პროგრამების თანხვედრას მაგისტრანტის მიერ მიღებული კრედიტების აღიარების მიზნით;

3. მაგისტრანტის მიერ უკვე მიღებული კრედიტების მაქსიმალური აღიარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამის გაუქმებამდე (ზემოთ მითითებული წესის შესაბამისად პროგრამით სწავლების შეწყვეტამდე) ბტუ აფორმებს შეთანხმებას უსდ-სთან, რომელიც ახორციელებს ანალოგიურ/თავსებად პროგრამას.

15. პროგრამით სწავლის დასრულება. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

1. სამაგისტრო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ მაგისტრანტმა შეასრულა პროგრამის მოთხოვნები და ამ მოთხოვნების შესაბამისად მიიღო პროგრამისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობა. პროგრამის კურსდამთავრებულს მიენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და გაიცემა აღნიშნულის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი;

2. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა განათლების შესაბამისი საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსების/მოდულების მოსმენის შესახებ.

3. მაგისტრანტი. სტუდენტის სტატუსი, სტატუსის შეჩერება, აღდგენა, შეწყვეტა. მობილობა. დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელება

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება. მაგისტრანტი

1. ბტუ-ს მაგისტრანტი არის პირი, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოიპოვა ბტუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება და ბტუ-თან ერთად თანაბარზომიერად პასუხისმგებელია მის მიერ არჩეული პროგრამის ფარგლებში განათლების მიღების ხარისხზე;

2. ბტუ-ს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. ბიზნესის ადმინისტრირების/მართვის სფეროში მაგისტრის (EMBA) კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვის 60-კრედიტიან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისთვის აუცილებელია არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილება მართვის/ადმინისტრირების სფეროში. ბტუ უფლებამოსილია დაადგინოს პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (მაგ., კონკრეტული უცხოური ენა ფლობის დომის მითითებით ან სხვ.), რომლებიც წინასწარ ცნობილია პროგრამით სწავლის მსურველთათვის და პროგრამაზე დაშვების წინაპირობების სახით ასახულია შესაბამისი პროგრამის კურიკულუმში;

3. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგის (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე. ბტუ-ში შიდა გამოცდა (ზეპირი, წერითი ან კომბინირებული ფორმით) ტარდება სპეციალობის (ძირითადი სწავლის) სფეროში. ბტუ უფლებამოსილია დააწესოს და ჩაატაროს სხვა შიდა გამოცდა, მაგ., პროგრამის კურიკულუმში (დაშვების წინაპირობებში) მითითებულ უცხოურ ენაში შესაბამის დონეზე ფლობის დასამადასტურებლად. პროგრამის კურიკულუმში (დაშვების წინაპირობებში) მითითენული უცხოური ენის შესაბამის დონეზე ცოდნა შეიძლება დასტურდებოდეს ბტუ-ს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით, უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატით ან ამ უცხოურ ენაზე მიღებული განათლებით (მაგ., სრული ზოგადი განათლების, საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი შესაბამისად ატესტატი/დიპლომით (ავთენტურობა უნდა იყოს დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ). უცხოური ენის გამოცდისა და სერტიფიკატის/სხვ. წარმოდგენისგან თავისუფლდებიან მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებსაც აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უსდ-ების მიერ;

4. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით: უსდ-ში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე ერთიანი აქტის და ბტუ-ში სპეციალობაში და სხვა (არსებობის შემთხვევაში) შიდა გამოცდ(ებ)ის შედეგების საფუძველზე ბტუ-ში გამოიცემა ჩარიცხვის ბრძანება ისე, რომ იყოს შესაძლებელი პროგრამის კომპონენტებში დაგეგმილი შედეგების მიღწევა, მათ შორის შუალედური შეფასების ფორმაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვა; ასევე, საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბტუ-ში ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის მსურველმა უნდა დაადასტუროს ქართული ენის ფლობა (B დონე);

5. ბტუ-ს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და ბტუ-ში მოქმედი მობილობის მარეგულირებელი წესების შესაბამისად;

6. ბტუ-ს პროგრამაზე სწავლისთვის პირი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ და ბტუ-ს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბტუ-ში პირის ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით და ბტუ-ს მიერ დადგენილი წესით და ვადებში. პირმა, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა ბტუ-ს პროგრამაზე სწავლის უფლება, დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში უნდა მიმართოს ბტუ-ს, წარადგინოს სავალდებულო დოკუმენტები, გაიაროს რეგისტრაცია და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდები.

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბტუ-ს შიდა გამოცდებში მონაწილეობის უფლების

მოპოვების შემდეგ მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია მიმართოს ბტუ-ს და ბტუ-ს მიერ დადგენილ ვადაში გაიაროს რეგისტრაცია, რომლის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის ბტუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 05 კალენდარულ დღეზე ნაკლები (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი/შაბათი, 9^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე). შიდა გამოცდებზე დაშვების მიზნით მაგისტრანტობის კანდიდატი ავსებს სარეგისტრაციო განცხადებას და წარადგენს სავალდებულო დოკუმენტებს, რის შემდეგ შეძლებს შიდა გამოცდებში მონაწილეობას;

2. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც ბტუ-ს მიერ დადგენილ (რეგისტრაციის) ვადებში არ გაივლის რეგისტრაციას ან არ წარმოადგენს სავალდებულო დოკუმენტებს, კარგავს ბტუ-ს შიდა გამოცდებზე გასვლის, შესაბამისად, ბტუ-ს სამაგისტრო პროგრამით სწავლის, უფლებას;

3. რეგისტრაციის მიზნით სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტებია:

1) სარეგისტრაციო განცხადება რექტორის სახელზე (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში განცხადებას ავსებს და ხელს აწერს პირის კანონიერი წარმომადგენელი);
2) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/ID ბარათის) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი, სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი);
3) ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (4 ფოტოსურათი, CD/DVD დისკზე - მატერიალური ფორმით დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში);
4) სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
5) არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) და დიპლომის დანართი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები). მაგისტრანტობის კანდიდატისგან (საქართველოს მოქალაქე) დამოუკიდებელი ობიექტური გარემოების გამო დიპლომის და დიპლომის დანართის წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში წარსადგენია შესაბამისი უსდ-ს მიერ გაცემული და სათანადოდ დამოწმებული ცნობა მინიჭებული აკადემიური ხარისხის, კვალიფიკაციის, პროგრამის კომპონენტების, მიღებული კრედიტების, შეფასებების მითითებით (შემდგომში დიპლომის წარდგენის პირობით). ბიზნესის ადმინისტრირების/მართვის სფეროში მაგისტრის (EMBA) კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვის 60-კრედიტიან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისთვის, ასევე, აუცილებელია მართვის/ადმინისტრირების სფეროში არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები) წარდგენა (ასევე, შესაძლებელია იყოს მოთხოვნილი სამოტივაციო წერილი);
6) სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები). სხვა ქვეყანაში პროფესიული გამოცდილების მიღების შემთხვევაში - შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები). ასევე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, წარმოადგენენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სავალდებულო და ბტუ-ს მიერ დამატებით მოთხოვნილ (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში) დოკუმენტებს;
7) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც განცხადებას და ხელშეკრულებას ხელს აწერს სწავლის მსურველის კანონიერი წარმომადგენელი, ასევე წარსადგენია: კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობის/ID ბარათი), მეურვეობის/სხვ. დამადასტურებელი დოკუმენტი.

4. დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში (შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების დასრულებამდე) ბტუ-ში გამოცხადების და საბუთების წარდგენის უფლება შეიძლება მიეცეს მაგისტრანტობის კანდიდატს, თუ დოკუმენტურად დადასტურდა ობიექტური გარემოებების არსებობა (რომლებიც ბტუ-ს შინაგანაწესით მიიჩნევა დადგენილი ვადების საპატიო მიზეზად), რის გამოც შეუძლებელი გახდა ვადების დაცვა. განცხადების წარდგენის და გადაწყვეტილების შესახებ პასუხის მიღების წესები და ვადები რეგულირდება ბტუ-ს შინაგანაწესით. ყველა შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად, გადაწყვეტილება მიიღება განცხადების და თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, გადაწყვეტილება საბოლოოა და ეცნობა დაინტერესებულ პირს ბტუ-ში განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადებში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მოხდება მაგისტრანტობის კანდიდატის ინფორმირება, მიეცემა განსხვავე-

ბულ ვადებში საბუთების წარდგენის და ბტუ-ს შიდა გამოცდებზე გასვლის უფლება;
5. შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე მაგისტრანტობის კანდიდატი ირიცხება ქულების რანჟირების საფუძველზე სამაგისტრო პროგრამაზე ვაკანტური ადგილების ფარგლებში. მაგისტრანტობის კანდიდატებთან, რომლებმაც მოიპოვეს ბტუ-ს სამაგისტრო პროგრამით სწავლის უფლება ფორმდება ხელშეკრულება;
6. ბტუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბტუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა სავალდებულოა;
7. მაგისტრანტთა ჩარიცხვა ფორმდება რექტორის ბრძანებით.

3. სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია. აკადემიური რეგისტრაცია

1. **რეგისტრაციის ვადები.** სემესტრულ ადმინისტრაციულ და აკადემიურ რეგისტრაციას ბტუ-ს მაგისტრანტი გადის სემესტრის დაწყებამდე ბტუ-ს მიერ დადგენილ ვადებში (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი/შაბათი, 9^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე). დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში რეგისტრაციის გავლის უფლება შეიძლება მიეცეს მაგისტრანტს, თუ დოკუმენტურად დადასტურდა ობიექტური გარემოებების არსებობა, რომლებიც ბტუ-ს შინაგანაწესით მიიჩნევა დადგენილი ვადების საპატიო მიზეზად. მითითებულ შემთხვევებში მაგისტრანტი ვალდებულია მიმართოს რექტორს განცხადებით, მიუთითოს რეგისტრაციის ვადის დარღვევის მიზეზი, განცხადებას დაურთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები და ითხოვოს დამატებით ვადაში რეგისტრაციის გავლის უფლება. განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა გაიგზავნოს ბტუ-ს ოფიციალურ ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 9^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე). ყველა შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად, გადაწყვეტილება მიიღება განცხადებაში მითითებული გარემოებების, თანდართული დოკუმენტების და განცხადების წარდგენის თარიღის გათვალისწინებით (სემესტრის დარჩენილ ვადაში უნდა იყოს შესაძლებელი პროგრამის კომპონენტებში დაგეგმილი შედეგების მიღწევა, მათ შორის შუალედური შეფასების ფორმაში დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვა). გადაწყვეტილება არის საბოლოო და ეცნობა მაგისტრანტს ბტუ-ში განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადებში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მაგისტრანტს ეძლევა განსხვავებულ ვადაში რეგისტრაციის გავლის და სასწავლო პროცესში ჩართვის შესაძლებლობა. სემესტრული ადმინისტრაციული/აკადემიური რეგისტრაციის არ გავლის შემთხვევაში ხდება სტატუსის შეჩერება სემესტრის მესამე სასწავლო კვირის დაწყებისთანაცე.

2. **სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია.** ამით მაგისტრანტი ადასტურებს ბტუ-ში სწავლის გაგრძელების სურვილს, სემესტრული რეგისტრაციის შედეგებით დგინდება თუ რამდენ სურს სწავლის გაგრძელება ბტუ-ს პროგრამებით. რეგისტრაცია გულისხმობს ბტუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბტუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსების შემთხვევაში) დადასტურებულ გადახდას (გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც სწავლის საფასურის გადახდისაგან პირი თავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ან ბტუ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით).

3. **აკადემიური რეგისტრაცია.** აკადემიური რეგისტრაციის წინაპირობაა პირველადი/სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა. აკადემიური რეგისტრაციის დროს მაგისტრანტი რეგისტრირდება: პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პროგრამის სავალდებულო კომპონენტებზე; მისთვის სასურველ არჩევით სასწავლო კურსებზე. ასევე, მაგისტრანტი რეგისტრირდება: პროგრამის კომპონენტებზე, რომლებიც წარმოადგენს მობილობის შედეგად მისაღებ კრედიტებს; პროგრამის კომპონენტებზე, რომლებიც ახლიდან აქვს შესასწავლი მიღებული უარყოფითი (F) შეფასების გამო.

4. **დამატებითი კრედიტები.** მაგისტრანტმა, რომელსაც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კრედიტების გარდა სურს დამატებითი კრედიტების მიღება (შედეგის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის კონკრეტული კომპონენტ(ებ)ის განმეორებით შესწავლა), აკადემიური რეგისტრაციის დაწყებამდე უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს განცხადებით. გადაწყვეტილება მიიღება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: 1) პირველ რიგში აუცილებელია აკადემიური რეგისტრაციის გავლა ა) პროგრამის სავალდებულო კომპონენტებზე, ბ) პროგრამის იმ კომპონენტებზე, რომლებშიც მისაღებია კრედიტები მობილობის ან უარყოფითი (F) შეფასების გამო, გ) არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების დადენილ რაოდენობაზე; 2) სემესტრში განსაზღვრულზე მეტ კრედიტებზე რეგისტრაცია დასაშვებია, თუ დატვირთვა არ გახდება შესაბამისი სემესტრისთვის დადგენილზე და წელიწადში 75 კრედიტზე მეტი; 3) მაგისტრანტის სურვილით პროგრამის კომპონენტის განმეორებით შესწავლა შესაძლებელია არანაკლებ 120-კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში - II-III სემესტრებში / 60-კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში - II სემესტრში. მითითებული შემთ-

ხვევა იწვევს დამატებით ფინანსურ (შესაბამისი კრედიტების საფასურის გადახდის) ვალდებულებას.
5. **არჩევანის შეცვლა.** სემესტრის დაწყებიდან მაქსიმუმ 01 კვირის ვადაში შესაძლებელია არჩევანის შეცვლა - არჩეულ სასწავლო კურსზე რეგისტრაციის გაუქმება და სხვა სასწავლო კურსის არჩევა. განცხადებით არჩევანის შეცვლის შესახებ მაგისტრანტი მიმართავს ფაკულტეტის დეკანს.
6. **სასწავლო ჯგუფი.** ბტუ-ში ჯგუფი, რომელშიც მაგისტრანტთა რაოდენობა არის 5 და ნაკლები, მიიჩნევა მცირერიცხოვან ჯგუფად. ბტუ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება სილაბუსებში დადგენილ მოთხოვნათა დაცვით მცირერიცხოვანი მაგისტრანტთა ჯგუფისთვის ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკის შემუშავების ან სასწავლო ჯგუფის გაუქმების შესახებ (ამ შემთხვევაში აუცილებელია მოხდებს მაგისტრანტების წინასწარი ინფორმირება და იმავე სასწავლო კურსების/მოდულის შემსწავლელ სხვა ჯგუფთან გაერთიანება. ამის შეუძლებლობის შემთხვევაში სასწავლო პროცესი გაგრძელდება სემესტრის დასრულებამდე). ბტუ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება არჩევით სასწავლო კურსზე მცირერიცხოვანი მაგისტრანტთა სასწავლო ჯგუფის შექმნის/შექმნაზე უარის თქმის შესახებ (ამ შემთხვევაში მაგისტრანტებს მიეცემათ რეკომენდაცია დარეგისტრირდნენ მათთვის სასურველ სხვა არჩევით სასწავლო კურსზე). გადაწყვეტილების მიღება და მაგისტრანტთა ინფორმირება მოხდება აკადემიური რეგისტრაციის დასრულებამდე.

4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბტუ-ს და მაგისტრანტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბტუ-ს და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტუდენტის სტატუსის შეჩერება გულისხმობს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბტუ-ს და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით განთავისუფლებას სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე. სტატუსის შეჩერება შესაძლებელია ჯამში არაუმეტეს 05 წლით, რის შემდეგ მაგისტრანტს უწყდება სტუდენტის სტატუსი (მაგისტრანტებისთვის, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ 2024 წლის 1 მარტის მდგომარეობით წინამდებარე წესით გათვალისწინებული სტატუსის შეჩერების ჯამური 5-წლიანი ვადის ათვლა იწყება 2024 წლის პირველი მარტიდან). ბტუ-ში სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: სტატუსის შეჩერების შესახებ მაგისტრანტის (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება; უცხო ქვეყანაში საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი პროგრამით სწავლისა); ორსულობა; მშობიარობა; ბავშვის მოვლა; ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ადმინისტრაციული და/ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა; ფინანსური დავალიანება, ფინანსური ვალდებულების/ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა; სამართლებრივი დევნის დაწყება ან სასამართლოს განაჩენის ძალაში შესვლა, თუ ეს გამორიცხავს სასწავლო პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. მაგისტრანტის გადაწყვეტილებით სტატუსის შეჩერება შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც მაგისტრანტმა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა მიმართოს რექტორს სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით, რომელშიც მიეთითება: მაგისტრანტის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, პროგრამის დასახელება, თარიღი, რომლიდანაც სურს სტატუსის შეჩერება, განცხადებს თარიღი. განცხადება უნდა გაიგზავნოს ბტუ-ს კორპორატიული ელ.ფოსტით ბტუ-ს ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 10^{00} - 18^{00} სთ). თუ მაგისტრანტი სემესტრის დაწყებიდან 05 სამუშაო დღეში მიმართავს რექტორს განცხადებით სტატუსის შეჩერების შესახებ, მას დაუბრუნდება გადახდილი სწავლის საფასურის 90%. ამ ვადის გასვლის შემდეგ თანხა არ დაუბრუნდება (ბტუ-ში სტატუსის აღდგენის შემთხვევაში გადახდილი სწავლის საფასურიდან აუთვისებელი თანხა ჩაითვლება სტატუსის აღდგენის შემდეგ გადასახდელ სწავლის საფასურში) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რექტორის განკარგულებით ამ ვადის გასვლის შემდეგ მაგისტრანტის პირადი განცხადების საფუძველზე მას დაუბრუნდება გადახდილი სწავლის საფასურიდან აუთვისებელი თანხა, რაც გამოითვლება განცხადების დადგენილი წესით ბტუ-ში გაგზავნიდან სემესტრის დასრულებამდე დარჩენილი კვირების რაოდენობის გათვალისწინებით;
3. ბტუ-ს გადაწყვეტილებით მაგისტრანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება შემდეგი პირობების დაცვით: მაგისტრანტი, რომლის მიმართ დაწყებულია სტატუსის შეჩერების წარმოება, უნდა იყოს ინფორმირებული ამის შესახებ, მას უნდა მიეცეს ახსნა-განმარტების წარმოდგენის და არაუმეტეს 02 კვირის ვადაში სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შესაძლებლობა გარდა შემთხვევებისა, როდესაც აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება. ბტუ-ს მიერ სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს გადახდილი სწავლის საფასური არ დაუბრუნდება (ბტუ-ში სტატუსის აღდგე-

ნის შემთხვევაში გადახდილი სწავლის საფასურიდან აუთვისებელი თანხა ჩაითვლება სტატუსის აღდგენის შემდეგ გადასახდელ სწავლის საფასურში) გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რექტორის განკარგულებით ამ ვადის გასვლის შემდეგ მაგისტრანტის პირადი განცხადების საფუძველზე მას დაუბრუნდება გადახდილი სწავლის საფასურიდან აუთვისებელი თანხა, რაც გამოითვლება განცხადების დადგენილი წესით ბტუ-ში გაგზავნიდან სემესტრის დასრულებამდე დარჩენილი კვირების რაოდენობის გათვალისწინებით;
4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება რექტორის ბრძანებით.

5. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება, თუ სტუდენტის სტატუსის შეჩერების ჯამური ხანგრძლივობა არ აღემატება 05 წელს (მაგისტრანტებისთვის, რომლებსაც სტატუსი შეჩერებული აქვთ 2024 წლის 1 მარტის მდგომარეობით წინამდებარე წესით გათვალისწინებული სტატუსის შეჩერების ჯამური 5-წლიანი ვადის ათვლა იწყება 2024 წლის პირველი მარტიდან). ფინანსური დავალიანების, ფინანსური ვალდებულებების/ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტატუსის აღდგენისთვის აუცილებელია დარღვევის აღმოფხვრა;
2. სტატუსის აღდგენის მიზნით მაგისტრანტმა (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა მიმართოს რექტორს სტატუსის აღდგენის შესახებ განცხადებით, განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს. განცხადება უნდა გაიგზავნოს ბტუ-ს ელ.ფოსტაზე სტატუსის აღდგენისთვის დადგენილ ვადაში (როგორც წესი, სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდში, სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 10^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე). დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში სტატუსის აღდგენის მოთხოვნის უფლება შეიძლება მიეცეს მაგისტრანტს, თუ დოკუმენტურად დადასტურდა ობიექტური გარემოებების არსებობა (რომლებიც ბტუ-ს შინაგანაწესით მიიჩნევა დადგენილი ვადების საპატიო მიზეზად), რის გამოც შეუძლებელი გახდა ვადების დაცვა. განცხადების წარდგენის და გადაწყვეტილების შესახებ პასუმიღების წესები და ვადები რეგულირდება ბტუ-ს შინაგანაწესით. მითითებულ შემთხვევებში მაგისტრანტი ვალდებულია მიმართოს რექტორს განცხადებით, მიუთითოს ვადის დარღვევის მიზეზი, განცხადებას დაურთოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა გაიგზავნოს ბტუ-ს ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 9^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე). ყველა შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად. გადაწყვეტილება მიიღება განცხადებაში მითითებული გარემოებების, თანდართული დოკუმენტების და განცხადების წარდგენის თარიღის გათვალისწინებით. გადაწყვეტილება არის საბოლოო და ეცნობა დაინტერესებულ პირს ბტუ-ში განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადებში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ხდება სტუდენტის სტატუსის აღდგენა;
3. თუ პროგრამა, რომელზეც სტატუსის შეჩერებამდე სწავლობდა მაგისტრანტი, განიცადა ცვლილებები, მაგისტრანტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება: ა) ბტუ-ში სტატუსის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ, ბ) ბტუ-ში სტატუსის აღდგენის და სწავლის გაგრძელების შესახებ. ამ შემთხვევაში ხდება სტატუსის შეჩერებამდე შესწავლილი პროგრამის კომპონენტების შესაბამისობის დადგენა იმ პროგრამასთან, რომლითაც სწავლა გაგრძელდება ბტუ-ში სტატუსის აღდგენის შემდეგ. პროგრამების თავსებადობა დგინდება ამ დებულებაში აღწერილი განათლების (კრედიტების) აღიარების წესით. დასკვნის და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მაგისტრანტის ინფორმირება მოხდება სტუდენტის განცხადების განხილვისთვის დადგენილ ვადაში. მაგისტრანტის თანხმობის შემთხვევაში ხდება სტატუსის აღდგენა;
4. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ფორმდება რექტორის ბრძანებით.

6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. ბტუ-ში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია: სტუდენტის სტატუსის აღდგენისთვის დადგენილი ვადის (ჯამურად 5 წელი) გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა; სტატუსის შეწყვეტის შესახებ მაგისტრანტის (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე); მობილობით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება; პროგრამით სწავლის დასრულება; აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტის მიერ პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა/მიუღწევლობა (პროგრამით სწავლისთვის დადგენილ ვადაში პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა და კვალიფიკაციის მინიჭების შეუძლებლობა); სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენა (ბტუ-ში დადგენილი დისციპლინური დარღვევები, რომლებიც იწვევენ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას); კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც გამოტანილია ისეთი ქმედების ჩადენისთვის, რომელიც ბტუ-სთვის წარმოადგენს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველს; პირის გარდაცვალება, კანონმდებლობის შესაბამისად პირის ქმედუუნაროდ ცნობა, კანონმდებლობით სხვა გათვალისწინებული შემთხვევები. აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტისთვის პროგრამით

გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიუღწევლობის/მიღწევის შეუძლებლობის საფუძვლით სტატუსის შეწყვეტა ხდება თუ ბტუ-ს და მაგისტრანტს შორის დადებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვის მომენტისთვის: ა) პროგრამის შესასრულებელი პირობებიდან (მისაღები კრედიტების რაოდენობა, სხვ.) გამომდინარე შეუძლებელია პროგრამისთვის დადგენილი რაოდენობის დამატებით სემესტრებში პროგრამის მოთხოვნების შესრულებლობა და კვალიფიკაციის მინიჭება; ბ) პროგრამის შესასრულებელი პირობებიდან (მისაღები კრედიტების რაოდენობა, სხვ.) გამომდინარე შესაძლებელია დამატებით სემესტრებში პროგრამის მოთხოვნების შესრულებლობა და კვალიფიკაციის მინიჭება, მაგრამ არ არსებობს ბტუ-ში დადგენილ ვადაში და წესით სათანადოდ დადასტურებული მაგისტრანტის ნება დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელების შესახებ; გ) დამატებით სემესტრებში პროგრამის გაგრძელების მიუხედავად, პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო შეუძლებელია კვალიფიკაციის მინიჭება;

2. მაგისტრანტის გადაწყვეტილებით სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია სწავლების ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც მან (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში - კანონიერმა წარმომადგენელმა) უნდა მიმართოს რექტორს სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით, რომელშიც მიეთითება: მაგისტრანტის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, პროგრამის დასახელება, თარიღი, რომლიდანაც სურს სტატუსის შეწყვეტა, განცხადების თარიღი. განცხადება უნდა გაიგზავნოს ბტუ-ს კორპორატიული ელ.ფოსტით ბტუ-ს ელ.ფოსტაზე/BTUClassroom (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 10^{00}-18^{00} სთ). თუ მაგისტრანტი სწავლების დაწყებიდან 05 სამუშაო დღის ვადაში მიმართავს განცხადებით სტატუსის შეწყვეტის შესახებ, მას დაუბრუნდება გადახდილი სწავლის საფასურის 90%. ამ ვადის გასვლის შემდეგ მას დაუბრუნდება გადახდილი სწავლის საფასურიდან აუთვისებელი თანხა, რაც გამოითვლება განცხადების დადგენილი წესით ბტუ-ში გაგზავნიდან სემესტრის დასრულებამდე დარჩენილი კვირების რაოდენობის გათვალისწინებით. ბტუ-ს გადაწყვეტილებით მაგისტრანტისთვის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ხდება შემდეგი პირობების დაცვით: მაგისტრანტი, რომლის მიმართ დაწყებულია სტატუსის შეწყვეტის წარმოება, უნდა იყოს ინფორმირებული ამის შესახებ; პირს დაუბრუნდება გადახდილი სწავლის საფასურიდან აუთვისებელი თანხა, რაც გამოითვლება სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცმიდან სემესტრის დასრულებამდე დარჩენილი კვირების რაოდენობის გათვალისწინებით;

3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ფორმდება რექტორის ბრძანებით. სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ, დროის ამ მონაკვეთში სტატუსი ითვლება შეჩერებულად და მას შეუძლია ისარგებლოს მობილობის უფლებით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახლა მოპოვება ხდება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. მობილობა

1. სამაგისტრო პროგრამით (შემდგომში - პროგრამით) სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით ბტუ-ს (შიდა მობილობა) და სხვა უსდ-ს მაგისტრანტებისთვის;

2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს განათლების იმავე საფეხურის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების, პროგრამაზე დაშვების წინაპირობების, ბტუ-ს მოქმედი წესების დაცვით;

3. მობილობის უფლება აქვს მაგისტრანტს, რომელიც უსდ-ში ჩაირიცხა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მობილობის მომენტისათვის არის უსდ-ს მაგისტრანტი, აქვს შეჩერებული მაგისტრანტის სტატუსი, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

4. მობილობის უფლება წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ (არ შედის დრო, რომლის განმავლობაში მაგისტრანტს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი). მობილობისა და შიდა მობილობის უფლება მაგისტრანტს წარმოეშობა მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი;

5. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში 2-ჯერ მობილობისთვის ყველა უსდ-სთვის დადგენილ ვადებში. ბტუ-ში შიდა მობილობა შეიძლება გამოცდადდეს წელიწადში 2-ჯერ ბტუ-ს მიერ დადგენილ ვადაში;

6. კანონმდებლობით დადგენილი წესით მობილობის უფლების მოპოვების შემდეგ მობილობის მსურველი ვალდებულია ბტუ-ს მიერ დადგენილ ვადებში (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი/შაბათი, 9^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე) მიმართოს ბტუ-ს - გაიაროს პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რაც გულისხმობს განცხადების შევსებას და დოკუმენტების წარმოდგენას. სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტებია:

1) სარეგისტრაციო განცხადება რექტორის სახელზე (შეივსება საბუთების ჩაბარების დროს, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში განცხადებას ავსებს და ხელს აწერს პირის კანონიერი წარმომადგენელი);
2) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი, სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის

დედანი);

3) ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (4 ფოტოსურათი, CD/DVD დისკზე - მატერიალური ფორმით დოკუმენტების წარდგენის შემთხვევაში);
4) სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი);
5) არანაკლებ ბაკალავრის/მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. 60-კრედიტიან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისთვის (ბიზნესის ადმინისტრირების/მართვის სფეროში მაგისტრის (EMBA) კვალიფიკაციის მოპოვების მიზნებისთვის), ასევე, აუცილებელია მართვის/ადმინისტრირების სფეროში არანაკლებ 5-წლიანი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები) წარდგენა (ასევე, შესაძლებელია იყოს მოთხოვნილი სამოტივაციო წერილიც);
6) სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების მიღების შემთხვევაში - განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი და განათლების აღიარების დოკუმენტი (ასლები). სხვა ქვეყანაში პროფესიული გამოცდილების მიღების შემთხვევაში - შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი (დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლები). პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები, წარმოადგენენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სავალდებულო და ბტუ-ს მიერ დამატებით მოთხოვნილ დოკუმენტებს (მაგ., მოთხოვნილ დონეზე ქართული ენის და უცხო ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები);
7) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) - ამონაწერი ჩარიცხვის ბრძანებიდან; ცნობა მაგისტრანტის სტატუსის შესახებ; ამონაწერი მაგისტრანტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან (არსებობის შემთხვევაში, სტატუსის შეწყვეტის ბრძანების შემთხვევაში აუცილებელია მაგისტრანტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველის მითითება); ამონაწერი სასწავლო ბარათიდან შესწავლილი სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების, შესაბამისი კრედიტების და მიღებული შეფასებების მითითებით.

7. დადგენილისგან განსხვავებულ ვადაში (მაგრამ არაუგვიანეს მობილობით ბტუ-ში ჩარიცხვის ერთიანი აქტის - რექტორის ბრძანების გამოცემისა) ბტუ-ში გამოცხადების, საბუთების წარდგენის და შიდაგამოცდაზე (არსებობის შემთხვევაში) გასვლის შესაძლებლობა შეიძლება მიეცეს მობილობის კანდიდატს, თუ დოკუმენტურად დადასტურდა ობიექტური გარემოებების არსებობა (რომლებიც ბტუ-ს შინაგანაწესით მიიჩნევა დადგენილი ვადების საპატიო მიზეზად), რის გამოც შეუძლებელი გახდა ვადების დაცვა. განცხადების წარდგენის და გადაწყვეტილების შესახებ პასუხის მიღების წესები და ვადები რეგულირდება ბტუ-ს შინაგანაწესით. ყველა შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად, გადაწყვეტილება მიიღება განცხადების და თანდართული დამადასტურებელი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, გადაწყვეტილება არის საბოლოო და ეცნობა დაინტერესებულ პირს ბტუ-ში განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადებში. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მას მიეცემა განსხვავებულ ვადებში საბუთების წარდგენის და შიდაგამოცდაზე (არსებობის შემთხვევაში) გასვლის შესაძლებლობა, ასევე მოხდება კრედიტების და შეფასებების აღიარების დასკვნის შედგენა და მობილობის კანდიდატისთვის გაცნობა;

8. შიდა მობილობის შემთხვევაში ბტუ-ს მიერ დადგენილ ვადებში მაგისტრანტი ვალდებულია განცხადებით მიმართოს რექტორს, 60-კრედიტიანი პროგრამის შემთხვევაში - წარადგინოს მოთხოვნილი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები (აღნიშნული წარმოადგენს პროგრამაზე გადასვლის წინაპირობას). გაიაროს რეგისტრაცია არჩეულ პროგრამაზე, წარადგინოს ბტუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსების შემთხვევაში) ან ბტუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსების შემთხვევაში) გადახდის დოკუმენტი. ჩარიცხვის ბრძანების გამოცემამდე მაგისტრანტს შეუძლია შიდა მობილობაზე უარის თქმა - დადგენილ ვადაში მან განცხადებით უნდა მიმართოთ ბტუ-ს რექტორს. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში მაგისტრანტი სწავლას აგრძელებს არჩეული პროგრამით;

9. როგორც სხვა უსდ-დან მობილობის, ისე შიდა მობილობის შემთხვევაში მაგისტრანტის მიერ უკვე მიღწეული კომპეტენციების თავსებადობა მის მიერ არჩეულ ბტუ-ს პროგრამასთან დადგინდება ბტუ-ში მოქმედი კრედიტების და შეფასებების აღიარების წესით. მობილობის კანდიდატი გადის შიდა საუნივერსიტეტი გამოცდაზე/გამოცდებზე (ზეპირი, წერითი ან კომბინირებული) თუ ასეთი რამ არის განსაზღვრული ბტუ-ს მიერ. ბტუ-ს ქართულენოვან პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მსურველმა, რომელიც სწავლობს უცხოეთის უსდ-ში, უნდა დაადასტუროს მოთხოვნილ დონეზე ქართული ენის ფლობა (B დონე);

10. ბტუ-ში მობილობით ვერ ჩაირიცხება პირი, რომლის მიმართ უსდ-ში არსებობს ბრძანება მაგისტრანტის

სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების ჩადენის გამო სტატუსის შეწყვეტის შესახებ თუ სტატუსის შეწყვეტის საფუძველი ბტუ-ში მიიჩნევა ქცევის წესების უხეშ დარღვევად, რომლისთვისაც ბტუ-ში გათვალისწინებულია სტატუსის შეწყვეტის დისციპლინური სანქცია;

11. ბტუ უფლებამოსილია: 1) პროგრამაზე მობილობით ჩარიცხვისათვის განსაზღვროს წინაპირობები, მაგ., პროგრამის კურიკულუმში (დაშვების წინაპირობებში) მითითებული უცხოური ენის შესაბამის დონეზე ცოდნა (დადასტურება შესაძლებელია ბტუ-ს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით, უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატით ან ამ უცხოურ ენაზე მიღებული განათლებით (მაგ., სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი ატესტატით/დიპლომით (ავთენტურობა უნდა იყოს დადასტურებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ). უცხოური ენის გამოცდისა და სერტიფიკატის/სხვ. წარმოდგენისგან თავისუფლდებიან მობილობის კანდიდატები, რომლებსაც აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ უცხოეთის უსდ-ების მიერ); 2) მოითხოვოს იმ სასწავლო კურსის სილაბუსის/ანოტაციის წარდგენა, რომელშიც მაგისტრანტს მიღებული აქვს კრედიტი. შესწავლილი და ბტუ-ს პროგრამებს შორის თავსებადობის არარსებობა შეიძლება იყოს მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი. პროგრამების თავსებადობის დადგენის შემდეგ მიღებულ დასაბუთებულ დასკვნაში იქნება მითითებული რომელი სასწავლო კურსები და რამდენი კრედიტი არის აღიარებული, ასევე მისაღები კრედიტების რაოდენობა. დასკვნა ეცნობა მობილობის მსურველს;

12. მაგისტრანტს შეუძლია მობილობის წესით მიმღებ უსდ-ში სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმა, თუ მიმღებ უსდ-ში არ არის გამოცემული ჩარიცხვის ბრძანება. ამ დროს მაგისტრანტს შეუძლია წერილობით მიმართოს მიმღებ უსდ-ს და უარი განაცხადოს მიმღებ უსდ-ში სწავლის გაგრძელებაზე. თუ ჩარიცხვის ბრძანება უკვე გამოცემულია, მაშინ მაგისტრანტი ითვლება მიმღები უსდ-ს სტუდენტად და სწავლას ვეღარ განაგრძობს ძველ უსდ-ში;

13. ჩარიცხვის შემდეგ ბტუ-ში წარსადგენია უსდ-ს მიერ გაცემული (ბეჭდით დამოწმებული) მაგისტრანტის პირადი საქმე და პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია; დოკუმენტების დედანი/სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, რომელიც ჩარიცხვამდე იყო წარმოდგენილი მხოლოდ ასლის სახით; მობილობის შედეგად სტატუსის შეწყვეტის ბრძანებიდან ამონაწერი;

14. ბტუ-ს მიერ დადგენილი ოდენობით სწავლის საფასურის (სრული თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) ან ბტუ-ს მიერ დადგენილ სწავლის საფასურსა და დოკუმენტურად დადასტურებულ დაფინანსებას შორის არსებული სხვაობის (ნაწილობრივი თვითდაფინანსებით სწავლის შემთხვევაში) გადახდის დადასტურება სავალდებულოა (გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც სწავლის საფასურის გადახდისაგან პირი თავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში ან ბტუ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით);

15. მობილობით მაგისტრანტთა ჩარიცხვა ფორმდება ჩარიცხვის ერთიანი აქტით - რექტორის ბრძანებით.

8. განათლების აღიარების წესი

1. ამ წესით ბტუ იღებს გადაწყვეტილებას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზნებისთვის მიღებული განათლების (კრედიტების და შეფასებების) აღიარების შესახებ;

2. უცხოეთში მიღებული განათლების/კვალიფიკაციის აღიარება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

3. ბტუ აღიარებს საქართველოში მოქმედი ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების მიერ მინიჭებულ ხარისხებს და კვალიფიკაციებს, ასევე ამ წესით აღიარებს ამ უსდ-ების მიერ განხორციელებული პროგრამების ფარგლებში მიღებულ სწავლის შედეგებს, კრედიტებს და შეფასებებს;

4. ბტუ უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიაროს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები აკადემიური უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისათვის;

5. აღიარებას ექვემდებარება უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის პროგრამით მიღებული კრედიტები, რომელზე მაგისტრანტის ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6. უპირობოდ ხდება გაცვლითი/ერთობლივი პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების და შეფასებების აღიარება;

7. ბტუ-ში აღიარებას შეიძლება დაექვემდებაროს პროგრამის სასწავლო კომპონენტები: სასწავლო კურსი/მოდული/პრაქტიკა (შემდგომში - პროგრამის კომპონენტები);

8. ბტუ უფლებამოსილია მოითხოვოს იმ კომპონენტ(ებ)ის სილაბუს(ებ)ის/ანოტაცი(ებ)ის (მიზნები, შედეგები, შინაარსი, ლიტერატურა, სხვ.) წარდგენა, რომელშიც მაგისტრანტს მიღებული აქვს კრედიტ(ებ)ი;

9. კრედიტების აღიარების მიზნით ბტუ ადგენს პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ბტუ-ს შესაბა-

მის პროგრამასთან თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას კრედიტების აღიარების შესახებ. მიღებული კრედიტების აღიარება ეფუძნება შესაბამისობას ბტუ-ს პროგრამასთან;
10. ბტუ უფლებამოსილია გასაუბრების საფუძველზე დაადგინოს ბტუ-ში სწავლის გაგრძელების მსურველის კომპეტენციების თავსებადობა ბტუ-ს პროგრამასთან;
11. მიღებული კრედიტების აღიარება ხდება უკვე შესწავლილი და ბტუ-ში არჩეული პროგრამების კომპონენტების თავსებადობის დადგენის გზით. კრედიტების აღიარება შეიძლება მოხდეს: მიღებული კრედიტების პირდაპირ აღიარების, პროგრამის კომპონენტების სილაბუსების შინაარსობრივი შესწავლის ან კომპონენტების სილაბუსების შინაარსობრივი შესწავლისა და გასაუბრების საფუძველზე. ბტუ-ს პროგრამასთან ნულოვანი თავსებადობის (შესაბამისობის) შემთხვევა არის ბტუ-ში სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმის საფუძველი ან პირი ვალდებულია სრულად შეისწავლოს ბტუ-ს პროგრამა;
12. თუ შესწავლილი პროგრამის კომპონენტის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა ბტუ-ს პროგრამის ანალოგიური კომპონენტის დასახელებასა და კრედიტების რაოდენობას - მაშინ ავტომატურად ხდება ამ კომპონენტის აღიარება;
13. პროგრამების კომპონენტების შინაარსობრივი თანხვედრის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს აღიარება მათ დასახელებებში არსებული სხვაობის მიუხედავად;
14. შესწავლილი პროგრამის კომპონენტები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბტუ-ს პროგრამით, მაგრამ შეესაბამება ბტუ-ს პროგრამის მიზნებს, შედეგებს და თანხვედრაშია მიზანიჭებელ კვალიფიკაციასთან, შესაძლებელია ბტუ-ს მიერ აღიარებული იქნეს არჩევითი კომპონენტების სახით. თუ ამის შედეგად აღიარებული კრედიტების რაოდენობა: 1) გაუტოლდება ბტუ-ს პროგრამით არჩევითი ნაწილისთვის გათვალისწინებული კრედიტების ჯამურ რაოდენობას, მაშინ მაგისტრანტი არ არის ვალდებული შეისწავლოს ბტუ-ს პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი კომპონენტები; 2) იქნება მეტია, ვიდრე ეს არის გათვალისწინებული ბტუ-ს პროგრამით, მაშინ მაგისტრანტის არჩევანით აღიარებული იქნება ბტუ-ს პროგრამით არჩევითი კომპონენტისთვის დადგენილი კრედიტების ნორმირებული რაოდენობა;
15. თუ შესწავლილი კომპონენტის კრედიტების რაოდენობა აღემატება ბტუ-ს პროგრამის ანალოგიური კომპონენტის კრედიტების რაოდენობას - მაშინ ხდება კრედიტების იმ რაოდენობის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს ბტუ-ს პროგრამა;
16. თუ შესწავლილი კომპონენტის კრედიტი ნაკლებია ბტუ-ს პროგრამის ანალოგიური სასწავლო კომპონენტის კრედიტზე, მაშინ - ა) 01 კრედიტის სხვაობის შემთხვევაში შესწავლილ კომპონენტს შესაძლებელია მიენიჭოს ბტუ-ს პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი; ბ) 02 კრედიტის სხვაობის შემთხვევაში შესწავლილი კომპონენტის და ბტუ-ს ანალოგიური კომპონენტის შინაარსობრივი შედარების (მიზნების, შინაარსის, სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურის, სწავლის შედეგების შედარების) და/ან დაინტერესებულ პირთან გასაუბრების საფუძველზე შესწავლილ პროგრამის კომპონენტს შესაძლებელია მიენიჭოს ბტუ-ს პროგრამით გათვალისწინებული მეტი კრედიტი; გ) 03 და მეტი კრედიტის სხვაობის შემთხვევაში არ ხდება კრედიტების აღიარება;
17. პროგრამების შესაბამისობის დადგენისა და კრედიტების აღიარების შედეგად განისაზღვრება კრედიტების რაოდენობა, რომელიც მაგისტრანტს უღიარდება ბტუ-ს პროგრამის მიზნებისათვის;
18. სწავლის გაგრძელების სავარაუდო სემესტრის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობა და ბტუ-ს პროგრამის კომპონენტების წინაპირობები (მხედველობაში მიიღება, რომ მაგისტრანტის მიერ შესწავლილი და ბტუ-ს მიერ აღიარებული სასწავლო კომპონენტები შეიძლება იყოს გათვალისწინებული ბტუ-ს პროგრამის მომდევნო სემესტრებში). სწავლის გაგრძელების სავარაუდო სემესტრები:

120-კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამა

აღიარებული კრედიტების რაოდენობა	0-29	30-59	60-89	90 და მეტი
რეკომენდებული სემესტრი	I	II	III	IV

60-კრედიტიანი სამაგისტრო პროგრამა

აღიარებული კრედიტების რაოდენობა	0-29	30 და მეტი
რეკომენდებული სემესტრი	I	II

19. აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობიდან და პროგრამის კომპონენტების წინაპირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია მაგისტრანტს დასჭირდეს დამატებითი სემესტრ(ებ)ის გავლა და სწავლის გაგრძელება წინამდებარე დებულებით დადგენილი სწავლის გაგრძელების ვადით;
20. იმ შემთხვევაში, თუ ბტუ-ს პროგრამამ, რომლითაც სწავლას აგრძელებს მაგისტრანტი, მისი ჩარიცხვის შემდეგ განიცადა მოდიფიცირება, მაშინ ხდება სხვა უსდ-ში უკვე მიღებული კრედიტებისა და ბტუ-ს მოდიფიცირებული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის თავსებადობის განმეორებითი

შესწავლა წინამდებარე მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად. თავსებადობის შემთხვევაში დამატებითად აღიარებული იქნება სხვა უსდ-ში მაგისტრანტის მიერ მიღებული იმ სასწავლო კომპონენტის კრედიტები, რომელთა აღიარება არ მოხდა ბტუ-ში მაგისტრანტის ჩარიცხვის დროს;

21. ბტუ უფლებამოსილია გაიანგარიშოს მაგისტრანტის დატვირთვა კრედიტებით იმ პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შესრულებული ECTS შესაბამისად:

1) თუ უსდ, რომელშიც სწავლობს/სწავლობდა მაგისტრანტი, იყენებს/იყენებდა ECTS-გან განსხვავებულ სისტემას, მაშინ მაგისტრანტი ვალდებულია წარმოადგინოს უსდ-ს ოფიციალური დოკუმენტი, სადაც აღწერილია უსდ-ში მოქმედი საკრედირო სისტემა და მითითებულია მისი შესაბამისობა ECTS-სთან;
2) პროგრამის შემთხვევაში, რომელიც არ არის შედგენილი ECTS-ს შესაბამისად, ხდება მითითებული აკადემიური/საკონტაქტო საათების ანალიზი და ხდება კრედიტების მინიჭება შემდეგი წესის მიხედვით:
   1. თუ მითითებულია საკონტაქტო (სს) და დამოუკიდებელი (დს) საათები, მაშინ მათი ჯამი გაიყოფა 25-ზე (ბტუ-ში 1 კრედიტი = 25 სთ.) ანუ კრედიტი = (სს + დს) / 25;
   2. თუ მითითებულია მხოლოდ საკონტაქტო საათები, მაშინ: ა) მოხდება მათი შედარება ბტუ-ს ანალოგიურ პროგრამის კომპონენტთან და კრედიტი მიენიჭება ზემოთ მითითებული წესის შესაბამისად; ბ) ბტუ-ში ანალოგიური პროგრამის კომპონენტის არარსებობის შემთხვევაში დამოუკიდებელი საათების რაოდენობა ჩაითვლება საკონტაქტო საათების ტოლად ანუ კრედიტი = 2 x სს / 25;
   3. თუ მითითებულია მხოლოდ საათების ჯამური რაოდენობა, მაშინ მათი რაოდენობა ჩაითვლება საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ჯამად, შესაბამისად კრედიტი = საათების ჯამი / 25;
   4. გამოთვლებით მიღებული რიცხვი მრგვალდება მთელ რიცხვამდე დამრგვალების წესით.

22. ბტუ უფლებამოსილია მოახდინოს სხვა უსდ-ში მოქმედი შეფასების სისტემის და სასწავლო ბარათში მითითებული შეფასებების ანალიზი და მათი გადაყვანა საქართველოში მოქმედი შეფასების სისტემის ქულებზე, რაც ხდება შემდეგი წესების დაცვით:

1) 5-ბალიანი სისტემის ბტუ-ში მოქმედ 100-ქულიან სისტემაზე გადაყვანა ხდება მაქსიმალური ქულის მინიჭების პრინციპით:

5-ბალიანი სისტემა			საქართველოში მოქმდი 100-ქულიანი სისტემის შესაბამისად		
ფრიადი	5		100	A	ფრიადი
კარგი	4		80	C	კარგი
დამაკმაყოფილებელი	3		70	E	დამაკმაყოფილებელი
არადამაკმაყოფილებელი	2-0		0	F	ჩაიჭრა

2) თუ მაგისტრანტს მიღებული აქვს: 1) ე.წ. „დიფერენცირებული ჩათვლა“ (ნიშნის მითითებით), მაშინ შეიძლება მოხდეს მისი გადაყვანა 100-ქულიან სისტემაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით; 2) ე.წ. „ჩათვლა“ (ნიშნის გარეშე), მაშინ შეიძლება მოხდეს მისი გადაყვნა 100-ქულიან სისტემაზე მინიმალური დადებითი (51) ქულის მინიჭებით;
3) განსხვავებული შეფასების სისტემის ბტუ-ში მოქმედ სისტემაზე გადაყვანა ხდება მაქსიმალური ქულის მინიჭების პრინციპით:
   1. 100-ქულიან სისტემაზე განსხვავებული შეფასების სისტემით მიღებული შეფასების (ქულის) გადაყვანა ხდება ფორმულით:

$GP = \frac{a \times 100}{A}$	GP - ბტუ-ში მოქმედ 100-ქულიანი სისტემაზე გადმოყვანილი შეფასება (ქულა); 100 - ბტუ-ში მოქმედი 100-ქულიანი სისტემის მაქსიმალური შეფასება (ქულა); A - სხვა შეფასების სისტემის მაქსიმალური შეფასება (ქულა); a - სხვა შეფასების სისტემით მიღებული შეფასება (ქულა).

   2. GPA-ზე (შესაბამისად, 100-ქულიან სისტემაზე) განსხვავებული შეფასების სისტემით მიღებული GPA-ს გადაყვანა ხდება ქვემოთ მოცემული ფორმულით (შეფასების ქულა განისაზღვრება მიღებული GPA-ს ქულის გათვალისწინებით (იხ. წინამდებარე დებულების „აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები (კოეფიციენტები). GPA“):

$GPA = \frac{4 \times gpa}{gpa_{max}}$	GPA - ბტუ-ს GPA-ზე გადმოყვანილი ქულა; 4 - ბტუ-ს GPA-ს მაქსიმალური მნიშვნელობა gpa - სხვა შეფასების სისტემით მიღებული Grade Point Average (GPA); gpa_{max} - სხვა შეფასების სისტემაში GPA-ს მაქსიმალური მნიშვნელობა.

23. კრედიტების აღიარების აქტი ფორმდება დასკვნის (ბტუ-ში მოქმედი ფორმის) სახით, რომელიც ასახავს შესწავლილი პროგრამის შესაბამისობა (თავსებადობა) ბტუ-ს პროგრამასთან. დასკვნაში მიეთითება აღიარებული კომპონენტების დასახელებები, შეფასებები, აღიარებული და მისაღები კრედიტების რაოდენობები. დასკვნა ეცნობა დაინტერესებულ პირს, რომელიც ადასტურებს ბტუ-ში სწავლის გაგრძელების გადაწყვეტილებას ან უარს ამბობს ბტუ-ში სწავლის გაგრძელებაზე.

9. დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელება

1. ბტუ-ში პროგრამისთვის დადგენილი რაოდენობის დამატებით სემესტრ(ებ)ში სწავლა შეიძლება გაგრძელდეს, თუ სტუდენტის აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტს პროგრამისთვის დადგენილ ძირითად ვადებში არ აქვს შესრულებული პროგრამის მოთხოვნები - არ აქვს მიღებული კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების რაოდენობა, მაგრამ დამატებით სემესტრ(ებ)ში სწავლის გაგრძელებით იქნება შესაძლებელი პროგრამის მოთხოვნის შესრულება და კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების რაოდენობის მიღება (წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტისა);

2. აქტიური სტატუსის მქონე მაგისტრანტს, რომელსაც სურს ბტუ-ში დამატებით სემესტრ(ებ)ში სწავლის გაგრძელება, შეუძლია პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის დასრულებამდე ან დასრულებისთანავე (არაუმეტეს 05 სამუშაო დღეში) მიმართავს რექტორს განცხადებით, რომელშიც მიეთითება: მაგისტრანტის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი, ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა, მიზეზი, რომლის გამო მაგისტრანტმა ვერ შეძლო ძირითად ვადაში საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება, განცხადების თარიღი. განცხადება უნდა გაიგზავნოს ბტუ-ს კორპორატიული ელ.ფოსტიდან ბტუ-ს ელ.ფოსტაზე (სამუშაო დღეები: ორშაბათი-პარასკევი, 10^{00} სთ-დან 18^{00} სთ-მდე). მაგისტრანტის განცხადება და თანდართული დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში) განსახილველად გადაეცემა დეკანს;

3. გადაწყვეტილება დამატებით სემესტრებში სწავლების გაგრძელების შესახებ:

1) დამატებით სემესტრ(ებ)ში სწავლის გაგრძელებისთვის აუცილებელია სტუდენტის აქტიური სტატუსი;
2) თუ საბუთების შესწავლით დადგინდება, რომ დამატებით სემესტრებში შესაძლებელია პროგრამის მოთხოვნების შესრულება და კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების რაოდენობის მიღება (წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტისა), მაშინ ფაკულტეტის დეკანი რექტორთან შუამდგომლობს განცხადების დაკმაყოფილების შესახებ;
3) თუ შესასწავლი სასწავლო კურსების/სხვ წინაპირობებიდან ან/და მისაღები კრეტიტების რაოდენობიდან გამომდინარე შეუძლებელია დამატებით სემესტრებში პროგრამის მოთხოვნების შესრულება (კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების მიღება), დეკამი რექტორს წარუდგეს დასაბუთებულ დასკვნას დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ;
4) გადაწყვეტილება დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელების/გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ მაგისტრანტს ეცნობა სტუდენტთა განცხადებების განხილვისთვის დადგენილ ვადაში;
5) დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (სემესტრში მაქსიმალურად დადგენილის გათვალისწინებით, წელიწადში არაუმეტეს 75 კრედიტის პირობით);
6) დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელებაზე უარის შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის გამო მაგისტრანტისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. სტატუსის შეწყვეტა ფორმდება რექტორის ბრძანებით.

4. გამონაკლისი შემთხვევები: პროგრამისთვის დადგენილი დამატებითი ვადის გადაჭარბებით სწავლის/კვლევის გაგრძელება შესაძლებელია, თუ დოკუმენტურად დადასტურდა დამატებით ვადაში ბტუ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული (საპატიო მიზეზად მიჩნეული) გარემოებების დადგომა, რის გამო შეუძლებელი იყო დამატებითი ვადაში კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი პირობების შესრულება. ყველა განცხადება და დამადასტურებელი დოკუმენტები განიხილება დეკანის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, მათი რეკომენდაციის საფუძველზე მიიღება გადაწყვეტილება: პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობის გამო სტატუსის შეწყვეტის ან მაქსიმუმ 01 სემესტრის დამატების შესახებ. გადაწყვეტილება მაგისტრანტს ეცნობა განცხადების განხილვისთვის დადგენილ ვადაში.

4. დანართები

ამ დებულების დანართები (#1 - სამაგისტრო ნაშრომის და საჯარო დაცვის შეფასების ფორმა; #2 - თანხმობა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობაზე; #3 - სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა, #4 - სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის დასკვნა; #5 - პროექტის საჯარო დაცვის შეფასება), ასევე ამ დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული ინსტრუქციები, ფორმები და სხვ. წარმოადგენს ამ დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს და ძალაში შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების და დადგენილი წესით აღრიცხვის შემთხვევაში. ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები/დამატებები დანართებში, თუ ეს არ ეწინაღმდეგება წინამდებარე დოკუმენტს.

5. დოკუმენტების კონფიდენციალურობა და საჯაროობა

1. ბტუ-ს დოკუმენტი შეიძლება შეიცავდეს არასაჯარო ინფორმაციას - პირი, რომელიც მონაწილეობს დოკუმენტის/ცვლილებების პროექტის შემუშავების პროცესში, ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა,

არ გაავრცელოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი სამუშაო პროცესში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე არსებოს ბტუ-ს რექტორის თანხმობა ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულება; არასაჯარო ინფორმაციის გავრცელება/გამჟღავნება იწვევს შესაბამის დისციპლინურ სანქციას;
2. ბტუ-ს ყველა საჯარო დოკუმენტის მოქმედი რედაქცია (ცვლილებების აღრიცხვის ფურცელში მითითებული ინფორმაციის გარეშე) აიტვირთება ბტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე www.btu.edu.ge

6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი ძალაში შედის აკადემიურ საბჭოს მიერ დამტკიცების შემდეგ;
2. წინამდებარე დოკუმენტის ძალაში შესვლისთანავე უქმდება ბტუ-ში ამ დოკუმენტის ძალაში შესვლამდე მოქმედი ამ დოკუმენტით გათვალისწინებული საკითხების მარეგულირებელი დებულება/წესი;
3. ბტუ-ს პერსონალი, მაგისტრანტები, პროგრამების განმახორციელებლები, ბტუ-ს სამაგისტრო პროგრამით სწავლის მსურველები ვალდებულნი არიან გაეცნონ წინამდებარე დოკუმენტს, ადმინისტრაცია ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ წინამდებარე დოკუმენტის გაცნობის შესაძლებლობა;
4. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების ინიციატორი შეიძლება იყოს აკადემიური საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის დეკანი, საფინანსო სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, იურიდიული სამსახური;
5. წინამდებარე დოკუმენტის დატკიცება, დოკუმენტში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;
6. წინამდებარე დოკუმენტის მუხლებს წანამძღვრებული აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
7. წინამდებარე დოკუმენტის ცალკეული მუხლის/პუნქტის/ქვეპუნქტის ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად დოკუმენტის ან დოკუმენტის სხვა მუხლის/პუნქტის/ქვეპუნქტის ცვლილებას ან ძალადაკარგულად/ბათილად ცნობას, თუ ეს არსებითად არ ცვლის მათ შინაარსს;
8. წინამდებარე დოკუმენტის დანართები (არსებობის შემთხვევაში), ასევე ამ დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებული და სათანადოდ აღრიცხული ფორმები/ინსტრუქციები/სხვ. (არ საჭიროებს ცალკე დამტკიცებას) წარმოადგენს დოკუმენტის შემადგენელ განუყოფელ ნაწილს და ითვლება დამტკიცებულად წინამდებარე დოკუმენტის დამტკიცების საფუძველზე;
9. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დოკუმენტით და ბტუ-ში მოქმედი სხვა მარეგულირებელი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;
10. წინამდებარე დოკუმენტი ძალას კარგავს მისი გაუქმების, ახალი „მაგისტრატურის დებულების“ ან წინამდებარე დოკუმენტში გათვალისწინებული საკითხების მომწესრიგებელი ახალი დოკუმენტ(ებ)ის ამოქმედების დღიდან.